ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი №56 (1566) შაბათი, 14 ივნისი, 1997 წელი

## მორიგი სენსაცია „ელიზთან“ და „მოქალაქეთა კავშირთან“ დაკავშირებით

მას შემდეგ, რაც „ელიზის“ პრეზიდენტი თავდებით გამოუშვეს ციხიდან და მისი ადვოკატი ქართლოს ღარიბაშვილი დიდგორის ომიდან დაბრუნებულ, გამარჯვების მაუწყებელ მახარობელივით დაიყვირებოდა, ამ გახმაურებულ საქმეში კიდევ რამდენიმე კურიოზი ჩაიწერა.

პირველ კურიოზად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მოლოდინის საწინააღმდეგოდ, ელიზბარაშვილმა ავადმყოფობის მომიზეზებით, არ გამართა პრესკონფერენცია ჟურნალისტებთან, რასაც ღარიბაშვილი გვპირდებოდა...

წესით, უსამართლოდ დაპატიმრებულ კაცს, რომელსაც შანსი მიეცა თავისი სიმართლე მთელი ქვეყნისათვის ეუწყებინა, ეს სასწრაფოდ უნდა გაეკეთებინა, რატომღაც ასე არ მოხდა...

ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ხმაური მომხდართან დაკავშირებით „ელიზს“ უკვე აღარ აწყობს...

მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარი კურიოზი, ან თუ სენსაცია გახლავთ ის, რომ მოქალაქეთა კავშირმა იმ ბრალდებასთან დაკავშირებით, რომელიც მათ წაუყენეს, თითქოს ისინი დგანან „ელიზის“ უკან და უქმნიან „კრიშას“, გამოაქვეყნა „ლიტერატურულ საქართველოში“ განცხადება. ამ განცხადების მიხედვით ისინი არათუ ემიჯნებიან „ელიზს“, არამედ კონტრაბანდისტობაშიც კი სდებენ ბრალს. განცხადების წამკითხველი ნამდვილად აღარ დაეჭვდება

2




## „შოთა კვირაია, ალბათ, საქართველოდან გასაქცევად ემზადება“



*საზღვარგარეთ* უშიშროების მინისტრმა შოთა კვირაიამ მოსკოვში სახლი შეიძინა. ამის შესახებ განაცხადა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა ირინა სარიშვილი-ჭანტურიამ გუშინ გამართულ პრეს-კონფერენციაზე. მისი თქმით, შ.კვირაია მოსკოვში 10 დღის წინ წავიდა და დღემდე გაურკვეველია, დაბრუნდა თუ არა იგი თბილისში, რადგან სხვადასხვა წყაროები ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაციას იძლევიან. „ალბათ, კვირაია საქართველოდან გასაქცევად ემზადება“ – განაცხადა პარტიის ლიდერმა.





ირინა სარიშვილი-ჭანტურია:

## აქედან გავდარს თუ გამიტანთ...

„ჩვენ არ გვინდა დავიჯეროთ, რომ პრეზიდენტი დაინტერესებულია იმ დესტაბილიზაციით, რაც რუსთაველის პროსპექტზე 17 ივნისს, 12 საათზე მოხდება. ამაზე მთელი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ თავად პრეზიდენტს და უშიშროების მინისტრს შოთა კვირაიას“ – განაცხადა გუშინ გამართულ პრეს-კონფერენციაზე ედპ-ს ლიდერმა ი.სარიშვილი-ჭანტურიამ.

2

## ცოლის ასეთი შნდა...

*სამგორის* რაიონის პოლიციის სამმართველოს მიმართა ერთ-ერთმა მოქალაქემ, (ოჯახის ინტერესებიდან გამომდინარე პოლიციამ გვარის დასახელებისაგან თავი შეიკავა) რომელმაც განაცხადა, რომ 11 ივნისს, 10 საათსა და 30 წუთზე, მისი სახლში არყოფნის დროს ბინაში შეიჭრა 3 დაუდგენელი პირი, რომლებმაც დანისა და ცხელი უთოს გამოყენებით, მის ცოლს სხეულის დაზიანება მიაყენეს. გაიტაცეს 5 ათასი $ და 1460 ლარის

2

## თურქული უნივერსიტეტი საზეიმოდ, თუმცა ჩუმად უკვე გაიხსნილა თბილისში...

მიმდინარე წლის სექტემბრიდან, სტამბულის ფაათის უნივერსიტეტში ქართველოლოგიის ფაკულტეტის მოსამზადებელი განყოფილება გაიხსნება. მომავალი წლიდან კი ფაკულტეტი დაფუძნდება. ამის შესახებ, გუშინ გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა დემირელის სახელობის კოლეჯის პრეზიდენტმა ჰაიათი ქუჩუკიმ. ფაკულტეტი გაიხსნა საქართველოს პრეზიდენტთან ე.შევარდნაძესთან, თურქეთის ვიცე-პრემიერთან თანსუ ჩილერთან და თურქეთის განათლების მინისტრთან მეჰმედ საღლანთან შეთანხმების შემდეგ. ფაკულტეტს დააფინანსებენ თურქული ფირმები „მარსი“ და „ჩაღლარი“, ხოლო პედაგოგები ქართველები იქნებიან. ჰ.ქუჩუკის თქმით, სავარაუდოა, რომ ფაკულტეტს ე.შევარდნაძის სახელი მიენიჭება და იგი საზეიმოდ გაიხსნება საქართველოს პრეზიდენტის თურქეთში ოფიციალური ვიზიტის დროს. შესაძლებელია ანალოგიური ფაკულტეტის თურქეთის სხვადასხვა ქალაქების უნივერსიტეტებში გახსნა.

როგორც პრეს-კონფერენციაზე აღინიშნა, თბილისში, კვების მრეწველობის ინსტიტუტის შენობაში ფუნქციონირებს შავი ზღვის ქვეყნების საერთაშორისო უნივერსიტეტი, რომელიც 1995 წლის 31 აგვისტოს საზეიმოდ გახსნეს ე.შევარდნაძემ და თანსუ ჩილერმა. უნივერსიტეტში, სამი განყოფილებიდან, ფუნქციონირებს ერთი – ბიზნესის განყოფილება, სადაც სწავლობს 100-ზე მეტი ქართველი და თურქი სტუდენტი. მიუხედავად ჟურნალისტების გაოცებისა, რაც უნივერსიტეტის არსებობის ფაქტს მოჰყვა, პრეს-კონფერენციის ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ აღნიშნული უნივერსიტეტის გახსნაზე საქართველოს პრეზიდენტის და განათლების მინისტრის თანხმობა იყო. (იფრინდა)

## უშიშროების სამინისტრო სოცდემების წერილებს იპარავს

„*ბოლო* დროს, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის სახელზე გამოგზავნილი კორესპონდენციები პარტიის ოფისამდე არ აღწევს“ – ნათქვამია სოციალ-დემოკრატიული პარტიის პრეს-სამსახურის მიერ გუშინ გავრცელებულ განცხადებაში.

განცხადების ავტორთა თქმით, პარტიის ლიდერის გ.მუჩაიძის პირადი დაცვის სამსახურმა ჩაატარა ექსპერიმენტი. თბილისში, სხვადასხვა რაიონებში, საფოსტო ყუთებში ჩაგდებულ იქნა მარკირებული წერილები პარტიის ოფისის მისამართის ზუსტი ჩვენებით. ეს წერილები დაიკარგა.

„როგორც ჩანს, უშიშროების სამინისტროს საქმე გამოლევია. მისი მესვეურები თავიანთი აგენტების საშუალებით, ჩვენი პარტიის დაშლის მცდელობით და ტელეფონების მოსმენით არ კმაყოფილდებიან – წერილებსაც იპარავენ“. (იფრინდა)

## გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მორიგი სენსაცია „ელიზთან“ და „მოქალაქეთა კავშირთან“ დაკავშირებით

პირველი გვერდიდან

იმაში, რომ „მოქალაქეები“ უბრალონი ყოფილან, მაგრამ მოხდა კურიოზი.

მოუსმინეთ ჩვენს კორესპონდენტს მანანა იაშვილს, რომელიც ხსენებულ განცხადებაზე კომენტარისათვის „მოქალაქეებს“ ეწვია.

„მოქალაქეთა“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მდივანს დათო ტყეშელაშვილს მისთვის განუცხადებია:

„ჩვენთვის სრულიად მოულოდნელი იყო ის, რაც წაიკითხეთ „ლიტერატურულ საქართველოში“. ჩვენ ასეთი განცხადება არ გაგვიკეთებია. ჯერ ერთი მოქალაქეთა კავშირის სტრუქტურულ დანაყოფს ჰქვია პრესსამსახური და არა პრესცენტრი. ამავე დროს არცერთი რედაქციისთვის ჩვენ არასოდეს გვიკადრებია ასეთი ნაჯღაბნი გაგვეგზავნა. განცხადებაში მოყვანილ ფაქტებთან დაკავშირებით მე არანაირი კომენტარის სურვილი არა მაქვს“. ხოლო გია ბარამიძემ კიდევ ერთხელ დააფიქსირა: „ჩვენ არც ერთი და არც მეორე არ გვაინტერესებს. ასევე არ გვაინტერესებს არც ერთი ადვოკატი და არც მეორე, თავში ქვა უხლიათ. ასევე აღარ მინდა და აღარ მაინტერესებს ამის შესახებ პუბლიკაციების კითხვა და კომენტარი“.

ბარამიძის კომენტარში განსაკუთრებით ის არის მოსაწონი, რჩეულიშვილს ღარიბაშვილიც რომ მიაყოლა და აღნიშნა, თავში ქვა უხლიათო, მაგრამ მოსაწონი არ არის ერთი ფაქტი - როგორც ჩვენთვის სარწმუნო წყაროებიდან გახდა ცნობილი, აღნიშნული განცხადება ნამდვილად არ არის ვინმეს მიერ შეთხზული და ნამდვილად „მოქალაქის“ კალმის ნახელავია, რომელსაც ადვილად დაადგენს ექსპერტიზა. მაშ რატომ უარყოფენ დღეს ამ პოზიციას მოქალაქენი?

სად არის ძაღლის თავი დამარხული?

არა არს დაფარული, რომელი არა გაცხადდეს. ამ საიდუმლოსაც ალბათ მალე აეხდება ფარდა.

**ნოდარ გრიგალაშვილი**

*P.S. აქვე გთავაზობთ „ლიტერატურული საქართველოდან“ გადმობეჭდილ იმ განცხადებას, რომლის ავტორობასაც „მოქალაქეები“ რატომღაც დღეს უარყოფენ...*

## ჩვენ მხოლოდ სიმართლის მხარეზე ვართ

პრესისა და ტელეჟურნალისტების ერთი ჯგუფი ცდილობს საზოგადოების დაბნევას და დაუსრულებლად იმეორებს სიცრუეს და ცდილობს საქმე ისე წარმოადგინოს, თითქოს „ელიზის“ მხრიდან ყაჩაღობა კი არ მომხდარა, არამედ კონკურენციაა ორ ფირმას შორის.

საქმის არსი საბაჟოს მონაცემებით კი ასე გამოიყურება: ექსპერიმენტის პერიოდში (პრეზიდენტის ბრძანებულებით შექმნილი კანონპროექტი, რომელიც გულისხმობს თითოეულ კოლოფ სიგარეტზე 6 თეთრის გადახდას).

ფირმა „ომეგას“ შემოტანილი აქვს საქართველოში 327726 ყუთი სიგარეტი.

ფირმა „ელიზის“ კი 12360 ყუთი სიგარეტი.

მხოლოდ ეს მონაცემებია საკმარისი, რომ ფირმა „ელიზი“ „ომეგას“ კონკურენტი არაა.

ამ ფაქტს თუ ანალიზს გავუკეთებთ და თვითონ „ელიზის“ განცხადებას დავუჯერებთ, რომ ისინი აკონტროლებენ სიგარეტის ბაზრის 40 პროცენტს, ნათელია, რომ „ელიზი“ დაუფარავ კონტრაბანდას ეწევა, საქართველოდან ტრანზიტით გამავალი სიგარეტის უდიდესი რაოდენობა ადგილზევე რჩება და ბიუჯეტის გადასახადი კი შესამჩნევად მცირდება, სწორედ ამის გამოა, რომ „ელიზს“ დამალული გადასახადების ხარჯზე შეუძლია კონკურენცია გაუწიოს „ომეგას“.

ამიტომაც ხომ არ შეეცადა „ელიზის“ პრეზიდენტი თამაზ ელიზბარაშვილი (რომელიც დღეს ყაჩაღობის ფაქტზე არის დაკავებული) ვითომ „გაეთეთრებინა“ სიგარეტის ბიზნესი და მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შექმნაში.

ამ კანონპროექტის ე.წ. ექსპერიმენტის მოქმედების ვადაში „ომეგას“ 12000000 ლარი აქვს ბიუჯეტში გადახდილი, ხოლო „ელიზს“ - მხოლოდ 35000.

„ელიზი“ აცხადებს, რომ იგი დაზარალებული მხარეა და ბიუჯეტში ამიტომაც ვერ შეაქვს თანხები, მაგრამ ყველა დამეთანხმებით, რომ ერთი დღითაც არ შემწყდარა „ელიზის“ პროდუქციის რეალიზაცია, რომლის ფაქტებიცაა სატელევიზიო რეკლამები. „ელიზის“ საფირმო ნიშნით ავტომობილების მოძრაობა და ჯიხურებში სიგარეტის რეალიზაცია.

„ელიზის“ ადვოკატი ქართლოს ღარიბაშვილი ცუდ სამსახურს უწევს თავისივე ფირმას და თამამად აცხადებს, რომ „ელიზის“ უკან მოქალაქეთა კავშირი და გავლენიანი პიროვნებები დგანან, რაც მხოლოდ და მხოლოდ სარეკლამო ტრიუკია და გამოძიებაზე ზემოქმედების საშუალებაა.

ჩვენ, მოქალაქეთა კავშირის წევრები, კატეგორიულად ვაცხადებთ, რომ ამ კონფლიქტში მხოლოდ და მხოლოდ სიმართლის მხარეზე ვართ და ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია საკითხის მალე გადაწყვეტა, რომ ნებისმიერმა ბიზნესმა ცივილიზებული სახე მიიღოს.

**მოქალაქეთა კავშირის პრესცენტრი**

# ატარეთ მხოლოდ ამერიკული ჰალსტუხები



ვახტანგ რჩეულიშვილის ჰალსტუხი რომ 50 დოლარი ღირს, უკვე ვიცით 12 ივნისს პარლამენტის სხდომაზე მისი განცხადების შემდეგ. როგორ აქვს სხვა დეპუტატებს ამ მხრივ საქმე? ჩვენი მცირე გამოკვლევის შედეგი ასეთია: ბესო ჯუღელს, ვიტალი ხაზარაძეს, მიხეილ სააკაშვილს, დათო გადელიას, თამაზი შავთვალაძეს, ელდარ შენგელაიას ჰულსტუხები მეგობრებმა აჩუქეს. გაირკვა, რომ ყველას მეგობარს ჰალსტუხები ამერიკიდან ჩამოუტანია მათთვის.

ჩვენი დეპუტატები საკმაო ყურადღებას აქცევენ ჩაცმა-დახურვას და მოდას არ უნდათ ჩამორჩნენ. როგორც ბესო ჯუღელმა შენიშნა ვიტალი ხაზარაძეს, მას თურმე ძველმოდური კოსტუმი აცვია, სამ ღილზე. ახლა კი თურმე ოთხღილიანი, ერთბორტიანი კოსტუმებია მოდაში. მამაკაცისთვის ჰალსტუხი დაახლოებით იგივეა, რაც ქალისათვის ძვირფასი ყელსაბამი ან საყურე. დეპუტატებიც ამ საკითხს ძალიან სათუთად და ეჭვიანად უდგებიან. ვიტალი ხაზარაძემ თუმცა თქვა, რომ ჰალსტუხი მეგობარმა აჩუქა, მაგრამ აქვე ჩაძიებით მკითხა, რა ეღირებაო. 50 დოლარზე ნაკლები ნამდვილად არც მისი ჰალსტუხი ღირდა და მან სიამაყით გამიმხილა, რომ მას 12 ასეთივე, ოღონდ სხვადასხვა შეფერილობის ჰალსტუხი აჩუქეს.

გურამ ჩახვაძესაც ამერიკაში შეუძენია ფანტასტიური ჰალსტუხი, რომელშიც 10 დოლარი მისცა ჩამოფასების გამო, მაგრამ თავის დროზე 45 დოლარი ღირებულა. „ამიტომ ვამბობ, რომ 45 დოლარიანი ჰალსტუხი მაქვს. აქ რომ ჩამოეტანათ, ხომ არასდროს არ ჩამოაფასებდნენ“.

ზურაბ ცქიტიშვილმა კი თავმდაბლად აღნიშნა, რომ მისი ჰალსტუხი სულ 3 ლარი ღირს, რამაც საერთო განწყობაში დისონანსი შემოიტანა. მანუჩარ მაჩაიძე ჯერ დაიბნა და შემდეგ ალალად აღიარა, რომ მისი ჰალსტუხი 10 დოლარი ღირს. სულ სერიოზულ თემებზე საუბარს დაჩვეული ელდარ შენგელაიაც დააბნია ჩემმა კითხვამ, მაგრამ როდესაც გავარკვიე ჩემი სოციოლოგიური გამოკვლევის მიზანში, გულიანად ახარხარდა.

პრეზიდენტის წარმომადგენელი პარლამენტში ჯონი ხეცურიანი კი უჰალსტუხოდ, მხოლოდ თეთრ პერანგში იყო გამოწყობილი. როგორც ეტყობა, ამ დღეს იგი ოფიციალურ გამოსვლას არ აპირებდა.

**მანანა იაშვილი**

### კანონში

## ცეცხლსასროლი იარაღის შესახებ შესწორებები შეიტანეს

საქართველოს პარლამენტის გუშინდელ სხდომაზე განიხილეს ცეცხლსასროლი იარაღის შესახებ კანონში შესატანი შესწორებები და ცვლილებები. განახლებული კანონის თანახმად, იარაღის შენახვის უფლება ეძლევათ ძალისმიერი სტრუქტურების, ოპერატიული სამსახურების, საბაჟო და საგადასახადო სამსახურების თანამშრომლებს, ასევე მოსამართლეებს და ძალისმიერი უწყებების პენსიაზე გასულ თანამშრომლებს, რომელთაც იუსტიციის მრჩევლის სტატუსი გააჩნიათ. ეს შესწორებები, დეპუტატების მწვავე გამოსვლების მიუხედავად, მაინც დაკანონდა. (ბი ჯი აი)

## საქართველოში სიკვდილით დასჯა გაუქმდება

გუშინ საქართველოს პარლამენტმა მეორე წაკითხვით მიიღო სისხლის სამართლის კოდექსის ახალი ვარიანტი. კოდექსში, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით წარედგინა საქართველოს პარლამენტს, გაუქმებულია მუხლები სიკვდილით დასჯის შესახებ და მათ ნაცვლად შეტანილია სამუდამო პატიმრობა. ამავე დროს კოდექსი ამკაცრებს გარკვეულ მუხლებს, მაგალითად - თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადა 15 წლიდან 20 წლამდე გაიზარდა.

სიკვდილით დასჯის გაუქმება ევროსაბჭოში საქართველოს გაწევრიანების ერთ-ერთი პირობაა. (ბი ჯი აი)

### ირინა სარიშვილი-ჭანტურია:

# აქედან მკვდარს თუ გამიტანთ...

პირველი გვერდიდან

პრეს-კონფერენციის თემა, ედპ-ს ლიდერის თქმით, ისევ და ისევ, საკმაოდ ოსტატურად შერჩეულ დროს, ოფისის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟია. მისივე თქმით, საკმარისია პარტიამ გარკვეული ძალებისათვის არასასურველი ნაბიჯი გადადგას (იგულისხმება პარლამენტის სამართლადამცავი ორგანოების ზოგიერთი თანამდებობის პირთა არაკონსტიტუციური ქმედებების დროებითი საგამოძიებო კომისიის 12 ივნისის სხდომა, რომელზეც ჩვენებები მისცეს უშიშროების სამინისტროს ყოფილმა თანამშრომლებმა), რომ ამას მოჰყვება გააქტიურება თეატრალური ინსტიტუტის პრორექტორის გოგი დოლიძის მუქარის სახით, რაც სტუდენტების მოხმობით გამოიხატება. ი.სარიშვილი-ჭანტურიას მიაჩნია, რომ სტუდენტები ამას არ იკადრებენ, თუმცა აქვე მიმართა მათ, რომ ამ დღეს პარტიის შენობასთან არ მივიდნენ. „17-ში აქ მოვა ის ხალხი, ვინც ფრაქცია „აფხაზეთი“-ს შიმშილობის აქციის დროს იმ ტერიტორიაზე ტრიალებდა“ - განაცხადა პარტიის ლიდერმა. მისი თქმით, ეს არის უშიშროების მინისტრის პირადი გარემოცვა - 150 კაციანი ე.წ. „გაუფორმებელი გვარდია“. რაც შეეხება პოლიციას, იგი ინფორმირებულია, მაგრამ არ აპირებს ამ „აქციაში“ მონაწილეობის მიღებას.

პარტიის ლიდერის თქმით, იჯარის თანხის გადახდა ვერ ხერხდება იმის გამო, რომ პარლამენტის ხელმძღვანელობამ ფრაქციას 1996 წლის სექტემბრიდან შეუწყვიტა იმ თანხის გაცემა, რომელსაც არჩევნებში გამარჯვებული პარტია იღებს. თანხა სულ 25 ათას ლარს შეადგენს. რაც შეეხება იმას, გაკეთდება თუ არა შტაბბინაში აუდიტორიები, სარიშვილმა განაცხადა, რომ შენობის სადაო ფართი თეატრალურ ინსტიტუტს კომერციული მიზნებისათვის ესაჭიროება. მათ უკან დგანან კულტურის მინისტრი ვ.ასათიანი და რამოდენიმე ხელოვანი დეპუტატი, რომელთა გვარების დასახელებისაგან ედპ-ს ლიდერმა თავი შეიკავა.

და ბოლოს, ედპ საცხოვრებლად ისევ შტაბ-ბინაში გადადის.

## ცოლის ასეთი შურა...

პირველი გვერდიდან

ღირებულების ოქროს სამკაულები. პოლიციამ დაადგინა, რომ ყაჩაღურ თავდასხმას ადგილი არ ჰქონია. მეუღლის მოტყუების მიზნით, მოქალაქის ცოლმა ფაქტის ინსცენირება მოაწყო. ამოღებულია 500 ამერიკული დოლარი და ოქროულობა. ცოლის განცხადებით, მან მეზობელს ასესხა 1500 დოლარი, ხოლო 3 ათასი დოლარი პირადი მოთხოვნილებისათვის დახარჯა. გამოძიებას აწარმოებს საგამოძიებო დეპარტამენტის სამგორის განყოფილება. (იფრინდა)

# სათაფლიაში დინოზავრები სომხეთიდან მოსულან!

**საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებში მიიღებს მონაწილეობას**



საააგენტოს კორესპონდენტის ცნობით, 12 ივნისს, გვიან ღამით თბილისიდან მოსკოვს გაემგზავრა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი. ი.მენაღარიშვილის შეხვდა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრს ევგენი პრიმაკოვს. შეხვედრაზე, რომელსაც საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუსეთში ვაჟა ლორთქიფანიძე ესწრებოდა, განიხილეს აფხაზეთის საკითხი.

ჩამოსახლებულ სომხებს თურმე „შექმნდათ საქართველოში თავიანთი ეკონომიკა და კულტურა, განამტკიცებდნენ ქრისტიანულ სარწმუნოებას, აფუძნებდნენ ვაჭრობასა და ხელოსნობას". ჯერჯერობით სხვას თავი დავანებოთ და მხოლოდ ის ვიკითხოთ: ქართულ და სომხურ ეკლესიებს შორის ხომ საშინელი დაპირისპირება არსებობდა და მათ შორის განხეთქილებაც მოხდა VII ს-ის დამდეგს? როგორ განამტკიცებდნენ გრიგორიანი სომხები ქრისტიანობას მართლმადიდებლურ საქართველოში? სინამდვილეში ხომ XI ს-დან მოყოლებული ამიერკავკასიაში მხოლოდ საქართველოში არსებობდა ქრისტიანული სახელმწიფო და იგი სწორედ ქრისტიანობის დროშით იცავდა თავს გარსშემორტყმული მაჰმადიანური სამყაროსაგან. მართალია, ამ ჯოჯოხეთური ომების დროს, განსაკუთრებით XVI-XVIII სს-ში გაცილებით მეტი ქართველი გამაჰმადიანდა, ვიდრე სომეხი, მაგრამ ამასაც თავისი ახსნა აქვს. საქმე ისაა, რომ სომხური სახელმწიფოს არარსებობის ვითარებაში სომხები მასობრივად ტოვებდნენ სამშობლოს და სხვა ქვეყნებში სახლდებოდნენ. 1827 წლისათვის, როცა რუსეთმა შეიერთა სომხეთი, ისტორიული სომხეთის ამ ნაწილში (რომლის საფუძველზეც 1918 წლიდან შეიქმნა სომხეთის რესპუბლიკა) ცხოვრობდა მხოლოდ 25 ათასი სომეხი. სახელმწიფოებრიობას მოკლებული, სხვადასხვა ქვეყნებში გაფანტულ სომხებს, რომლებიც ძირითადად ვაჭრობა-ხელოსნობას ეწეოდნენ, ირან-ოსმალეთი ისეთი სისასტიკით არ ებრძოდა (სომეხთა გენოციდი თურქეთში XIX ს-ის ბოლოს და პირველი მსოფლიო ომის დროს სხვა სახის მოვლენაა და გამოწვეულია სომეხთა სამართლიანი მისწრაფებით დამოუკიდებლობისაკენ) XVI-XVIII სს-ში, როგორც ქართველებს. უფრო მეტიც, დამპყრობლები ცდილობდნენ დაუმორჩილებელი ქართველების წინააღმდეგ საქართველოშივე თავიანთ.დასაყრდენად სომეხთა გარკვეული წრეებიც გადაექციათ და ამის შედეგიცაა ქართველთა ერთი ნაწილის გასომხება, სომხურად მონათვლა მშობლიურ ქვეყანაში.

დასაწყისი იხ. „საქართველო" №55.

რაც შეეხება ქრისტიანობის ადრეულ საუკუნეებს, მამულოვს ეჭვიც არ ეპარება იმაში, რომ სომხებმა „დანერგეს ქრისტიანობა მთელს კავკასიაში". იგი უყოყმანოდ აცხადებს: „როგორც წყაროები მოწმობენ, წმ.ნუნე (სომხეთში წმ. ნინოს ნუნეს ეძახდნენ – ა.ა) ითვლებოდა ერთ-ერთ წმინდა სომეხ ქალწულთაგანად, რომლებიც მოციქულ თადეოსის დაარსებულ მონასტერში ცხოვრობდნენ". მამულოვი აქაც პირუთვნელ პირველწყაროებად ასაღებს სომხურ ლეგენდებს. არსებობს გვიანდელი რედაქციით შემორჩენილი სომხური ე.წ. „ხელშეკრულების წიგნი", რომლის თანახმად, IV ს-ში რომაელთა და სომეხთა საერო და სასულიერო ხელისუფლებს თურმე ერთმანეთში გაუყვიათ მთელი დასავლეთი და აღმოსავლეთი. ამ ყალბი ცნობების შემცველ თხზულებაში წმ.ნინოც სომხადაა მიჩნეული. ამგვარი ლეგენდების საფუძველზე განა შეიძლება ორი ერის წარსულის, მათი ურთიერთობის საკითხებზე მსჯელობა? მაგრამ მამულოვისათვის და მისი ამქრისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, სხვა ერს, კერძოდ, ქართველ ერს შეურაცხყოფენ თუ არა. მამულოვის განცხადებით, „სომხები ყველაზე ძველი ქრისტიანული ერია მსოფლიოში". ქვეტექსტი ისეთია, რომ მამულოვს იესო ქრისტეც სომხად მიაჩნია. ღვთისაგან გაჩენილი პირველი კაცის, ბიბლიური ადამის შესახებ კი ყოველგვარი ქვეტექსტის გარეშე, პირდაპირაა ნათქვამი მამულოვის წიგნში: ადამისა და მისი შთამომავლობის მშობლიურ ენას სომხური წარმოადგენდა. ამის შემდეგ რაღა გასაკვირია, თუ მამულოვი თავის წიგნებში არაერთხელ გაიმეორებს სომხურ ვერსიას ქართული დამწერლობის წარმოშობის შესახებ. სხვათა შორის, როცა ამგვარ „მარგალიტებს" წარუდგენს მკითხველს, მამულოვი ზოგჯერ ლიტერატურასაც იმოწმებს, ოღონდ მოძველებულს და თვითონ რომ აწყობს, ისეთს. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას ისიც, რომ ვენაიდან სომხები ადრიდანვე ცხოვრობდნენ ევროპის ქვეყნებშიც, ევროპელებმა ისინი სხვა კავკასიელ ხალხებზე ადრე გაიცნეს, შეისწავლეს ტენდენციური სომხური მატიანეებიც და მათი გავლენით თუ სხვა მიზეზებითაც შეითვისეს და გაავრცელეს დებულება, თითქოს საქართველო, ქართული კულტურა ძირითადად სომხური სამყაროს ნაწილს წარმოადგენდა. თურქეთში სომეხთა გენოციდი რომ განხორციელდა, ბუნებრივია, მსოფლიოს მოწინავე კაცობრიობამ დაგმო ეს მოვლენა. იმ ხანებში ბევრი წიგნი თუ წერილი დაიწერა სომხეთისა და სომხების შესახებ. ამ ნაშრომებშიც არასწორადაა ასახული საქართველო-სომხეთის ურთიერთობების საკითხები. აი, ასეთ ტენდენციურ, მოძველებულ ლიტერატურას გვაფარებს სახეზე მამულოვი.

**ალექსანდრე აბდალაძე**

გაგრძელება ორშაბათის ნომერში

# კახა თარგამაძე: ვიღაცას ბალერინა უნდა შინაგან საქმეთა მინისტრად და ბალერინები ეძებონ ოპერის თეატრში...

**საუბრობენ შინაგან საქმეთა მინისტრი კახა თარგამაძე და გაზეთ „საქართველოს" რედაქტორი ნოდარ გრიგალაშვილი**

**კ.თ.** – მე, სხვათა შორის, პრესაში პირდაპირ განვაცხადე, რომ თარგამაძე გაურბის სიტყვას – დარბევას. 26 მაისს დარბევა არ იყო, ბ-ნო ნოდარ, პოლიციის უშუალო მოვალეობაში შედიოდა, რომ დაეცვა ის ღონისძიება, რომელიც ტარდებოდა 26 მაისს. ჭადრაკის კლუბთან ზვიადისტებმა (არ ვიცი, ზვიადისტები ჰქვიათ, თუ ვინ ჰქვიათ, ყოველ შემთხვევაში, ოპოზიციურად განწყობილმა ძალებმა) ჩაატარეს მიტინგი. იქ ჩვენ არავისი დარბევა, არავისი ცემა არ მოგვიხდენია. მოხდა შეთანხმება, ისინი მამადავითისკენ უნდა წასულიყვნენ და მათ მოგვთხოვეს, რომ ჩვენ მიგვეცა საშუალება იქით წასულიყვნენ. ჩვენ მივეცით ამის საშუალება, რამეთუ არ გვინდოდა ინციდენტი მომხდარიყო და ამის შემდგომ, ეს წინასწარ დაგეგმილი იყო. როგორც ჩანს, მათ მოინდომეს გაჩერება მოედანზე. მე გისვამთ კითხვას, ჰქონდა პოლიციას უფლება, რომ დაეშვა ეს? არ ჰქონდა.

***ნ.გ.** – კი მაგრამ, იმ მიტინგის მონაწილე თუ იტყვის, რომ მოედანზე საზეიმოდ მიდიოდით?*

**კ.თ.** – საზეიმოდ არ მიდიოდნენ. საუბედუროდ, გინებით, მუშტების ქნევით და ლანძღვით მიდიოდნენ. იმ მომენტში იყო ვარიანტი, ჩაეშალათ დღესასწაული და იყო უფრო მძიმე ვარიანტიც – შესაძლებელი იყო შეტაკება მომხდარიყო მოედანზე მყოფ მოზეიმე ხალხსა და იმ პირებს შორის, რომლებიც ლანძღვა-გინებით და უწმაწური სიტყვებით და მუშტების ქნევით შევარდებოდნენ მოედანზე: იქ რა მოხდებოდა ყოველივე ამის შემდეგ, ამის განსჯა ჟურნალისტებისთვის მომინდვია. რა შედეგით დამთავრდებოდა ეს ყველაფერი, თქვენთვის მომინდვია, ბ-ნო ნოდარ.

დასაწყისი იხ. „საქართველო" №30-44, 53-55.

მე არ მქონდა უფლება და შინაგან საქმეთა სამინისტროს არ ჰქონდა უფლება, რომ ეს დაგვეშვა. დაგვეშვა სისხლისღვრა, გართულებები. ამ შემთხვევაში თქვენ დასვამდით მეორე კითხვას, რატომ დაუშვით, რატომ მიუშვით იქამდე. ამის გამო, პოლიციამ კანონის სრული დაცვით იმოქმედა. მომიტინგეები არღვევენ კანონს, პოლიცია მოქმედებს კანონით და ამაზე ასეთი აჟიოტაჟი და ხმაური არ არის საჭირო. მოხდა გარკვეული გაუგებრობები, მე ამას არც ახლა გაურბივარ, არც პრესკონფერენციის დროს გავექეცი ამ კითხვას, და არ მინდა ვინმემ ისე ჩამითვალოს, რომ თითქოს ვამბობდე, ყველაფერი იდეალურად იყო. ამ დონემდე ჯერჯერობით არა ვართ მისულები. ეს გაუგებრობები პოლიციასა და ჟურნალისტებს შორისაც წარმოიშვა. მე, ფაქტიურად, ბოდიში მოვიხადე ჟურნალისტების წინაშე პოლიციის სახელით, მაგრამ ისიც ვთხოვე, რომ ისინიც გაგებით შეხვდნენ იმ მომენტებს, როდესაც კონფრონტაციამდე მიდის საქმე და პოლიციელებს უკვე ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებენ, ცემა-ტყეპაზე გადადიან. ასეთ შემთხვევებში პოლიცია ძალით მოქმედებს, ამიტომაც ჰქვია პოლიციას ძალისმიერი სტრუქტურა, რათა საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს ძალა. ასეთ დროს სრულიად შემთხვევით შეიძლება მოჰყოლოდა რამოდენიმე ჟურნალისტი აი, ამ ინციდენტში და ამ შემთხვევაში, შეიძლება მართლაც შეილახა ჟურნალ-



ისტის უფლებები. მაგრამ მდგომარეობის გათვალისწინებით, გაგებით უნდა შევხედოთ ფაქტს. ყველა მხარემ უნდა მივცეთ პოლიციას საშუალება შეასრულოს მოვალეობა. პოლიციის განყოფილებებს მიეცა მითითება, რომ მომავალში განსაკუთრებული ყურადღებით მოიქცნენ და აღარ მოხდეს ასეთი გაუგებრობები. მაგრამ, საუბედუროდ, ყველა ქვეყანაში ხდება მსგავსი რამ, მით უმეტეს, ასეთი შეტაკებების დროს. რა თქმა უნდა, ეს არ იყო სასიამოვნო, მაგრამ ჩვენი მხრიდან არ იყო პროვოცირებული. ეს იყო იმ მეორე მხრიდან პროვოცირებული მოქმედება, რომლებსაც შორს მიმავალი მიზნები ჰქონდათ დაგეგმილი და ჩვენ ამას არ დავუშვებდით.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ჩვენ ამას არ დავუშვებდით. საქართველოში იქნება სრული წესრიგი და ყველა დაემორჩილება კანონს, ბევრი ვერ იტანს ჩვენს კატეგორიულ განცხადებებს. მე ვამბობ, კატეგორიულად ვაცხადებ – არ დავუშვებ! რას ჰქვია არ დავუშვებ, უნდა დაუშვაო, კაცო, მეუბნებიან. ვიღაცას ბალერინა უნდა შინაგან საქმეთა მინისტრად და ბალერინები ეძებონ ოპერის თეატრში. თარგამაძე არის შინაგან საქმეთა მინისტრი და მისი პოლიციაც არის ის პოლიცია, რომელიც საჭიროების შემთხვევაში, თუ გინდათ სიცოცხლის ფასად, დაიცავს ქვეყანას და საზოგადოებას.

***ნ.გ.** – მე გეთანხმებით, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი ძლიერი უნდა იყოს. მივესალმები იმას, რომ თქვენ არ დაუშვებთ უკანონობას. კიდევ კარგი, არ ამბობთ ისე, როგორც რამდენიმე წლის წინ ზვიადმა განაცხადა. პირადად მას არაფერს ვერჩი, მაგრამ ეს განცხადება ერთობ სასაცილო იყო, ფილარმონიის დიდი დარბაზიდან რომ გაისმა, რომ არ დაეუშვებთო მიტინგს – არც სანქცირებულს და არც არასანქცირებულსო. კარგია, რომ თქვენ ლაპარაკობთ მხოლოდ უკანონო მიტინგის აღკვეთაზე...*

**კ.თ.** – ბ-ნო ნოდარ, ერთ რამესაც გეტყვით. უკანონო მიტინგი ბევრი ჩატარდა თბილისში. მაგრამ იქ საშიშროება ჩვენ არ გვქონდა და არ დაგვირბევია ეს ხალხი. პირიქით, ვიცავდით მათ. უკანონო მიტინგი უამრავი ჩატარდა, ყოველგვარი განცხადების გარეშე. მაგრამ, როცა მოადგებიან ამ ქალაქის ცენტრს, უნდათ ჩაკეტონ მოძრაობა, უნდათ შექმნან საფრთხე. მე ვთხოვე, ხალხო, მობრძანდით, ჩაატარეთ მიტინგისთვის გამოყოფილ ადგილებში, მაგრამ რაშია საქმე, იცით? ცენტრში იმიტომ უნდათ მიტინგის ჩატარება, რომ რაღაც გაუგებრობები მოაწყონ, თანაც, ხალხი ვერ მოჰყავთ, არ მიდის ხალხი მაგათ მიტინგებზე, მობეზრდა ამ ხალხს არეულობა და ქაოსი. რამდენიც არ უნდა მოუწოდო ხალხს, არ მიდის მაგათ მიტინგზე. ამიტომ ირჩევენ ხალხმრავალ ადგილებს... უსანქციო მიტინგი უამრავი ჩატარდა დედაენის ძეგლთან. არაფერი არ გვითქვამს, ჩემო ბატონო. უფრო მეტიც, ერთ-ერთი მიტინგის დროს პირდაპირ შუა ცენტრში ვიდექი და ვერ მიცნეს, შინაგან საქმეთა მინისტრი რომ ვიყავი. მერე ვიღაცამ მიცნო და გამოაცხადა, მინისტრი ჩვენთან ერთად არისო... ყვირილი დაიწყეს, მაგრამ, რა თქმა უნდა, ხუმრობა იყო და სხვა არაფერი...

***ნ.გ.** – ახლა მე თქვენ ისეთ კითხვას დაგისვამთ, ყველაფერი ყირამალა დადგება.*

*ნებისმიერი მიტინგის ჩატარება გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით. არანაირი სანქცია არც ერთ მიტინგს არ სჭირდება.*

**კ.თ.** – მაგრამ კონსტიტუციის მუხლში არის შესანიშნავად აღნიშნული, რომ სჭირდება კანონი და ის კანონი, რომელიც დღეს მოქმედებაშია, ითვალისწინებს სანქციას. ძალაში შესვლას ყველა მუხლისას აქვს გარკვეული ვადა. წლის ბოლომდე უნდა შევიდეს ძალაში კონსტიტუციის ყველა ის მუხლი, რომელზედაც კანონი არ არის მიღებული. ჯერჯერობით მოქმედებს ის კანონი და პირდაპირ აღნიშნულია კონსტიტუციაში, რომ მოქმედებს ძველი კანონი, თუ ახალი კანონი მიღებული არ არის. ახალ კანონს როგორც კი მიიღებენ, ვიმოქმედებთ ახალი კანონით. კონსტიტუციაში წერია, რომ ჩვენ გარანტი უნდა ვიყოთ იმისა, რომ არ შეექმნას საფრთხე ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, არ მოხდეს დესტაბილიზაცია. ამის გამო არის ის, რომ გარკვეული შეზღუდვები აქვთ მიტინგების ჩატარებისა. არ უნდა დაიკეტოს მოძრაობა, არ უნდა იმოქმედონ იმ შენობებზე, სადაც ადმინისტრაციაა მოთავსებული. ამის გამო ამ საკითხზე ვერ დაგეთანხმებით, ბ-ნო ნოდარ. და როდესაც ახალი კანონი გამოვა, კი ბატონო. თუ კანონი არ ვარგა, კანონი გამოცვალეთ და კანონის აღმსრულებლებთან პრეტენზია არ უნდა გქონდეთ. ყველა შემთხვევაში პოლიცია კანონით მოქმედებს და იქ რაღაც პატარა გაუგებრობას თუ ჰქონდა ადგილი, ეს უკვე აღვნიშნეთ, და მინდა, რომ საერთოდ გამოირიცხოს. სხვათა შორის, ამაში გარკვეულწილად გამიგეს ჟურნალისტებმა. ისიც კი ვუთხარი, რომ ჩვენი პროფესია, ორივესი, რისკთან არის დაკავშირებული.

გაგრძელება ორშაბათის ნომერში

## რუსი მესაზღვრეები კვლავაც დაიცავენ აფხაზეთის საზღვრებს

აფხაზეთიდან სამშვიდობო ძალების გაყვანა არანაირად არ შეეხება რუსეთის მესაზღვრეების მოღვაწეობას – განუცხადა ინტერფაქსს რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის უფროსმა არმიის გენერალმა ანდრეი ნიკოლაევმა. მისი თქმით, საკონტროლო გამშვებ პუნქტზე მოქმედი რეჟიმი არაფრითაა დაკავშირებული კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების ყოფნასთან და რეჟიმის შეცვლა რუსეთის პრეზიდენტის პრეროგატივაა. (ბი ჯი აი)

## არძინბა - ლორთქიფანიძის მოლაპარაკებები

გუშინ მოსკოვში გრძელდებოდა საქართველოს ელჩის რუსეთის ფედერაციაში ვაჟა ლორთქიფანიძისა და აფხაზეთის პრეზიდენტის ვლადისლავ არძინბას შეხვედრა – განაცხადა საქართველოს ელჩმა რუსეთის ფედერაციაში ვაჟა ლორთქიფანიძემ საქართველოს ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში. მისი თქმით, შეხვედრებზე გარკვეული პროგრესი შეინიშნება საერთო ვითარებაში და საქართველოს როგორც სატრანზიტო ქვეყნის პერსპექტივების საკითხებთან დაკავშირებით. ორივე მხარეს კარგად ესმის არსებული ვითარებიდან გამოსავლის ნახვის აუცილებლობა. რაც შეეხება ლტოლვილების დაბრუნებასა და აფხაზეთის სტატუსის გარკვევას, ვაჟა ლორთქიფანიძის თქმით, ამ სფეროებში არავითარი პროგრესი არ შეინიშნება. აფხაზურმა მხარემ წამოაყენა წინადადება – გაგრძელდეს კონსულტაციები კომპრომისული გადაწყვეტილებების მოსაძებნად.

აფხაზური და რუსული მხარეები ქართულ დელეგაციას თავის წინადადებებს შესთავაზებენ. მოლაპარაკებებში მონაწილეობის მისაღებად მოსკოვს გაემგზავრა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი. (ბი ჯი აი)

## ფოთსა და სოჭს შორის წყალქვეშა სატელეფონო კავშირი დამყარდა

საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს დელეგაციამ, რომელიც სინგაპურში, საერთაშორისო გამოფენაში „ტელეკომ აიშა–97" მონაწილეობს, 12 ივნისს რუსეთის დელეგაციასთან ხელი მოაწერა ხელშეკრულებას ფოთსა და სოჭს შორის წყალქვეშა ოპტიკურ-ბოჭკოვანი კავშირის გაყვანის თაობაზე. ამის შესახებ სააგენტოს კორესპონდენტს რუსეთის კავშირგაბმულობის სამინისტროდან აცნობეს.

ხაზების გაყვანა კომერციულ საფუძველზე განხორციელდება. წყაროს თქმით, მსგავსი შეთანხმება პირველია დსთ–ს ჩარჩოებში. (იფრინდა)

---

• დღიურები

# რევაზ მიშველაძე

# ხუთი მრისხანე წელი

## ჩემი წუთისოფლის ბილიკებზე

### ჯერ წყალში გადააგდეს სიგუა, მერე ამოიყვანეს...

**6/XI — 9/XI, 92 წ.**

პარლამენტის პირველმა სხდომებმა ჩემზე ამაზრზენი შთაბეჭდილება დატოვა.

ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა არადემოკრატიულობამ.

როცა სიგუას არჩევის საკითხი დადგა; ჯერ 7-ში უყარეს კენჭი და მერე 8-ში. 7-ში ელექტროგამომთვლელებზე ჩაფლავდა სიგუა. მაგრამ 8-ში ბიულეტინებით ხელმეორედ უყარეს კენჭი და აირჩიეს.

ეს არის უპრეცენდენტო შემთხვევა არჩევნების ისტორიაში.

აი, როგორი დემოკრატები ვართ.

მე მგონი, ეს სპეციალურად გაკეთდა.

ჯერ წყალში გადააგდეს სიგუა, მერე ამოიყვანეს, გადაარჩინეს. ამით აგრძნობინეს, პარლამენტის ყურმოჭრილი მონა იქნებიო.

დასაწყისი იხ. „საქართველო" №48-55.

### შევარდნაძემ ღიმილით მითხრა...

**10/XI — 16/XI, 92 წ.**

აფხაზეთში დაიღუპა ნუკრი ასლამაზაშვილი – ახალგაზრდა მხატვარი, გვარდიელი, ავღანეთის ომში ნაბრძოლი.

ულამაზესი, უჭკვიანესი ჭაბუკი იყო. ჩემთან მოვიდა და თავისი ნახატები მიჩვენა შარშან. მაშინვე ჩამოვატარე რედაქციები, რამდენიმე ნახატი „ღიმილში" დავუბეჭდე. ახლა სახლში მაქვს ჩემდამი მოძღვნილი მისი კარიკატურა – „გემრიელ კაცს – რევაზ მიშველაძეს".

ცუდ ხასიათზე ყოფნა რას მიქვია, მკვდარი ვარ.

14-15-ში ვანში ვიყავით. გალაკტიონის იუბილე ჩავატარეთ. ნოდარ ტაბიძე არ იყო. ქუთაისიდანაც არცერთი მწერალი არ ჩამოვიდა (?).

დღეს 16 ნოემბერია. გალაკტიონის იუბილეს ვატარებთ ოპერის თეატრში. გურამი გახსნის.

გურამმა ვანში გამოაცხადა – როცა ზ.გამსახურდიამ აკრძალა გალაკტიონის იუბილის ჩატარება, იგი რევაზ მიშველაძემ ჩაატარა უნივერსიტეტშიო.

თუ მომცეს სიტყვა – მხოლოდ გალაკტიონის ცხოვრების პირად მაგალითზე ვილაპარაკებ.

**17/XI — 22/XI, 92 წ.**

17 ნოემბერს ოპერაში გალაკტიონის ასი წლის იუბილე ჩავატარეთ.

კარგად წარიმართა.

გ.ფანჯიკიძემ გახსნა. სიტყვები გრ.აბაშიძემ, რ.ჭეიშვილმა, მე, მ.ლებანიძემ და სხვებმა ვთქვით.

შევარდნაძე ესწრებოდა.

ჩემს სიტყვაში, სხვათაშორის, აღვნიშნე, გალაკტიონმა ისიც გვასწავლა, რომ მწერალი ხელისუფლებას არ უნდა ჩაეხუტოს, ან რაც უფრო უარესია, თავი არ გაისაპნოს-მეთქი.

ბოლოს შევარდნაძე კულისებში ამოვიდა, ყველას ხელი ჩამოგვართვა და ღიმილით მითხრა: ბატონო რეზო, მართალია, გალაკტიონი მთავრობას არ ეხუტებოდა, მაგრამ პარტიაზე ბევრი ლექსი დაწერაო.

ასეთი გადაკვრითი პოლემიკა პირველი არ არის ჩვენს შორის. ჩემს ყოველ ფრაზას მტკივნეულად განიცდის და ცდილობს, სამაგიერო გადამიხადოს.

მე ჩემი გზა მაქვს.

21 ნოემბერს „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოვაქვეყნე ნოველა „საქართველო რუსის თვალით".

[illegible] რუსი ასევე გაითიშებული, როგორც [illegible] თვალშისაცემი [illegible] ბევრს არ მოეწონებოდა ზევით.

ცუდად ვარ. წყლული მაწუხებს. სვეტას არ მინდა ვაგრძნობინო.

### ვყეფ პრესაში

**23/XI — 27/XII, 92 წ.**

მთავრდება ეს წელიც. სევდიანი, სისხლიანი, ტკივილიანი წელი.

ჩემს სამშობლოს „სისხლი და ცრემლები" რომ უხვად მოუტანა.

შარშან ამ დროს ოპოზიცია თბილისს ანგრევდა გამსახურდიას დასამხობად.

ახლა? რა მოგვიგია შევარდნაძის ჩამოყვანით?

ვის გავეყარე, ვის შევეყარე ხომ არ გამოგვივიდა?

ჩვენი ხელისუფლების პოლიტიკა ისევ რუსის მონობაში საქართველოს შებრუნების პოლიტიკაა და სხვა არაფერი.

„დაგომისის" ხელშეკრულებით სამაჩაბლო დავკარგეთ. შეიძლებოდა, სამშვიდობო ძალები ისევ ოსებისაგან და რუსებისაგან ყოფილიყო შედგენილი?

3 სექტემბრის ხელშეკრულებით აფხაზეთს ვკარგავთ.

ჩვენი შვილების სისხლი უმოწყალოდ ილვრება,

შიმშილი, ყაჩაღობა.

უკან-უკან მივდივართ.

ვყეფ პრესაში, რადიოში, ტელევიზიაში (21 დეკემბერს ხორავას სახლში საღამო გამართეს, იქაც ვთქვი): ჩვენ რუსს ვერ მოვერევით, იქნებ სჯობდეს, გაეროს და ამერიკის არხებით ვიმოქმედოთ რუსეთის იმპერიაზე-მეთქი.

ვის ესმის.

ამ განწყობილებით ვხვდები ახალ წელს.

**გაგრძელება იქნება**

---

• წიგნიდან „სუკი და ძალაუფლება"

# ქვეყანას ანგრევს ლიდერის გარემოცვა...

## ფილიპ ბობკოვი



ჩვენს ისტორიაში მრავალი ასეთი მაგალითია. უბედურება იმაშია, რომ ასეთი ურთიერთობა მალე იშლებოდა, თუ ლიდერის ხელისუფლებაში მოსვლისთანავე არ იხოცებოდნენ თანამებრძოლები. როგორც კი ლიდერი პირველი კაცი ხდებოდა, თანამებრძოლობა გარემოცვით იცვლებოდა. არა მგონია ეს მხოლოდ ჩვენი ისტორიის საბჭოთა პერიოდს ეხებოდეს.

დარწმუნებული ვარ, რომ ლ.ი.ბრეჟნევის ხელახალ დაბადებაში გარემოცვას გადამწყვეტი როლი ჰქონდა. ის, ვინც მას ახალგაზრდობაში იცნობდა, ამტკიცებდნენ, რომ ბრეჟნევი გამოირჩეოდა პრინციპულობითაც, საქმიანობითაც და სამართლიანობითაც, თუმცა, ამბობენ, პატივმოყვარე ყოველთვის იყო.

ასეთ ფაქტს ჰყვებიან. ჯერ კიდევ საოლქო კომიტეტის მდივნის თანამდებობაზე ყოფნისას, მასთან მივიდნენ ერთ-ერთი მოქალაქის დაპატიმრების თაობაზე, იმისათვის, რომ იგი ანტისაბჭოურ ანეკდოტებს ავრცელებდა. ბრეჟნევმა მოითხოვა გამოერკვიათ, თუ რა ანეკდოტები იყო ეს და რანაირად ავრცელებდა ის კაცი. აღმოჩნდა, რომ ერთი ანეკდოტი რძის რიგში მოუყოლია, ხოლო მეორე – პურის რიგში.

– ეგ კაცი დასაპატიმრებელი არ არის, – განაცხადა ბრეჟნევმა. – იმას კი არ უნდა ვაპატიმრებდეთ, ვინც ანეკდოტებს ჰყვება, არამედ იმას, ვინც რძისა და პურის რიგებს ქმნის.

როდესაც ბრეჟნევი არმიის პოლიტგანყოფილებას ედგა სათავეში, ერთხელ თავისი აპარატის თანამშრომლებს უთხრა:

– რა თქმა უნდა, ჩვენ პოლიტმუშაკები ვართ და ჩვენი მთავარი იარაღი სიტყვაა. მაგრამ ახლა ომია და ყველას უნდა შეეძლოს საბრძოლო იარაღის კარგად ფლობა. ერთ თვეს გაძლევთ მოსამზადებლად და გაითვალისწინეთ: განმეორებითი გამოცდა არ ჩატარდება.

ზუსტად ერთი თვის შემდეგ ბრეჟნევმა დაიწყო შემოწმება. პირველი იყო თვითონ პოლიტგანყოფილების უფროსი. მან ხუთივე ტყვია ცხრიანში და ათიანში მოახვედრა. გარდა ამისა, ტანკსაწინააღმდეგო იარაღითაც მშვენივრად ისროლა. ამით ყველას დაუმტკიცა, რომ მას არა მარტო ადმინისტრაციული, მორალური უფლებაც ჰქონდა უფროსობისა.

პარტიის ლიდერის პოსტზე ყოფნის პირველ წლებში მას არ დაუკარგავს ხელმძღვანელის შესანიშნავი თვისებები. რა დაემართა შემდეგში? პირველი მიზეზი, რა თქმა უნდა, პატივმოყვარეობა იყო, სწორედ მან დაღუპა ბრეჟნევი. მაგრამ ამ პატივმოყვარეობას მუდმივად კვებავდა და ათბობდა გენერალური მდივნის გარემოცვა, თავისი ანგარებიანი მიზნების სასარგებლოდ.

აი, კიდევ ერთი ეპიზოდი. გენერალური მდივნის კაბინეტში იმყოფებოდა აპარატის რამდენიმე თანამშრომელი, როდესაც შევიდნენ ნ.ვ.პოდგორნი, კ.უ.ჩერნენკო და ა.პ.კირილენკო და მოახსენეს, რომ პოლიტბიუროზე გადის საკითხი ბრეჟნევისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების თაობაზე, მისი დაბადების დღესთან დაკავშირებით. ერთ-ერთმა იქ მყოფმა ამხანაგმა განაცხადა:

– მე ამას არ გირჩევდით. ეს არ არის მრგვალი ციფრი. არც ომის ან სხვა მნიშვნელოვანი ბრძოლის საიუბილეო წელია. უპრეცენდენტო შემთხვევაა.

მას არ აცალეს დამთავრება.

– ჰქონია კი რაიმე პრეცენდენტი მშვიდობისათვის ისეთ ბრძოლას, როგორსაც ლეონიდ ილიას ძე აწარმოებს? თუნდაც ჩვენი შეიარაღებული ძალების განვითარებაში მისი როლი რად ღირს...

ბრეჟნევი ჩუმად იჯდა, წარბშეკრული და მაგიდას დაშტერებოდა. როდესაც სამი მლიქვნელი დაიღალა, მან ასწია თავი და დაძაბულად თქვა:

– მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე მე ვემორჩილებოდი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებს და ამჯერადაც ასე მოვიქცევი. როგორც პოლიტბიურო გადაწყვეტს, ისე იქნება.

ბრეჟნევის კულტის განმტკიცებაში შეჯიბრისას მისი გარემოცვის ხალხი ცდილობდნენ გადაესწროთ ერთმანეთისთვის, თან ამ დროს მეტად საეჭვო იდეებს სთავაზობდნენ.

ივანდროპოვი ყვებოდა, თავის „აბლობლებთან" მორიგი შეხვედრის შემდეგ, მიიღო რა მათგან ინფორმაცია, ბრეჟნევმა დასვა საკითხი იმის შესახებ, რომ საგანგებო ზომები მიეღოთ იმათ წინააღმდეგ, ვინც განსხვავებული, არაკომუნისტური პოზიციებიდან გამოდიოდა. უნდა აღინიშნოს, რომ თვითონ ბრეჟნევი არ იყო ულმობელი ადამიანი. მისი გარემოცვა განაწყობდა მას ამგვარად. შეიძლება ეს მოქმედებდა კიდეც მისი და ივ.ანდროპოვის ურთიერთობაზე.

ერთხელ, ბრეჟნევის დაჟინებულ მოთხოვნაზე, ზოგიერთი პირის მიმართ მკაცრი ზომები ეხმარათ, ივ.ანდროპოვმა უთხრა:

– ლეონიდ ილიჩ, რეპრესიების დაწყება ადვილია, მაგრამ ის ლაქად დააჩნდება თქვენს ავტორიტეტს. ხომ არსებობს ალტერნატივა – მდგომარეობის ღრმა ანალიზი და მიზეზების აღმოფხვრა.

შეიძლებოდა თუ არა ბრეჟნევის ხელახლა დაბადება, რომ სტალინის კულტის გაცამტვერება უსასრულოდ არ გაწელილიყო, თავის დროზე რომ შეემუშავებინათ ის ზომები, რომლებიც გამორიცხავდნენ ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღების პრეცენდენტს.

მე მხოლოდ პიროვნების კულტის ჩამოყალიბების ერთ-ერთ მხარეს შევეხე. იბადება კითხვა, რატომ არ მოჰკიდეს ხელი ახალმა ლიდერებმა ასეთი მოვლენის წარმოშობის მიზეზებს?

და უნებურად კრამოლური აზრი მოდის თავში: იქნებ ყველაფერი იმასთან არის დაკავშირებული, რომ არაცნობიერად სჭირდებათ ლიდერებს და მის გარემოცვას ერთმანეთი?

მაშ ასე, პარტია ძველებურად სამეურნეო ცხოვრებას უძღვებოდა, ხშირად კომპეტენტური კადრების ნაკლებობას განიცდიდა. თუმცა იყო ხოლმე შემთხვევები, როდესაც პარტიული ხელმძღვანელი წარმატებით ათავსებდა პოლიტიკურ და სამეურნეო სამუშაოს. ასეთი იყო პარტიის ბელორუსიის ცკ-ს მდივანი კ.მ.მაზუროვი. მან კარგად იცოდა საქმე და ომის წლებში საბჭოთა კავშირის გმირის დამსახურებულად მიღებულ წოდებას, მშვიდობიან დროს სოციალისტური შრომის გმირის წოდებაც დაუმატა.

ალბათ ამიტომაც, მის დროს, რესპუბლიკაში არავითარი სისხლისღვრა, მღელვარება არ ყოფილა. მას იცნობდნენ და პატივს სცემდნენ ბალტიისპირეთიდან შორეულ აღმოსავლეთამდე, თუმცა არ მაგონდება, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს მისთვის დიდი დრო დაეთმო. უბრალოდ, თავისთავადი, ნიჭიერი ადამიანი ბევრისათვის ზნეობის მაგალითად ითვლებოდა.

დასაწყისი იხ. „საქართველო" №51-55.

**გაგრძელება ორშაბათის ნომერში**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჟინვალჰესი საქართველოს ენერგოსისტემას დღე-ღამეში 1600 ათას კვტს.სთ. ელ.ენერგიას შემატებს

ჟინვალჰესის ჰიდროელექტროსადგურის წყალსაცავში სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ, რომელიც 12 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა, წყალი 810 მეტრის საპროექტო ნიშნულამდე აიწია. ამის შესახებ სააგენტოს კორესპონდენტს „საქენერგო"-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სააგენტოდან აცნობეს.

საქართველოს ერთიან ელექტროსისტემას ჟინვალის ჰიდროელექტროსადგური დღე-ღამეში 1600 ათას კვტ.სთ. ელ.ენერგიას შემატებს, რაც აქამდე გამომუშავებულზე ერთი-მესამედით მეტია. მათივე ინფორმაციით, დაზიანებულია ჟინვალჰესის ნაგებობის გვირაბი. ამასთან დაკავშირებით, მზადაა გვირაბის რეკონსტრუქციის პროექტი, რომელიც ირანის ისლამური რესპუბლიკის მიერ გამოყოფილი კრედიტით განხორციელდება. დღეიდან დაიწყო წინასწარი სამუშაოები. მომზადებულია კონტრაქტი საქართველოსა და ირანის ისლამურ რესპუბლიკას შორის. დგინდება საჭირო თანხის ოდენობა. კონტრაქტს საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს წარმომადგენლის ირანში ვიზიტის დროს მოეწერება ხელი. (იფრინდა)

## გლდანისა და მცხეთის მონაკვეთებზე აღმოჩენილია ნედლი ნავთობი

საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის საინფორმაციო სამსახურის ცნობით, საქართველოს ნავთობსადენების კომპანიამ ჩაატარა ნავთობსადენ სამგორი-ბათუმის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევის სამუშაოები.

გამოკვლევების შედეგად, გლდანისა და მცხეთის მონაკვეთებზე აღმოჩნდა ნედლი ნავთობის გარკვეული რაოდენობა. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ნავთობის უტილიზაციის შესახებ. კომპანიის სპეციალისტთა მაღალი პროფესიონალიზმისა და სამუშაოთა ჩატარების ზუსტი დაგეგმარების განხორციელებით, ნავთობსადენიდან ამოღებულია 400 ტონაზე მეტი ნავთობი. (იფრინდა)

## გურიაში ბანდიტური ჯგუფი დააკავეს

გურიის სამხარეო პოლიციის ცნობით, გუშინ, დაბა ჩოხატაურში, ჩოხატაურის პოლიციისა და გურიის შსს სამხარეო სამმართველოს მიერ განხორციელებული ერთობლივი ოპერატიული ღონისძიების შედეგად დააკავეს გურიის მხარეში მოქმედი ერთ-ერთი ძლიერი ბანდიტური ჯგუფი (აქტივისტი თევდორაძე), რომელსაც მრავალ დანაშაულობებში ედება ბრალი. (მექსპრესი)

## ამათ სისულელეს საზღვარი არა აქვს

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს სპიკერმა, გენადი სელეზნიოვმა, რუსეთ-ბელორუსიის კავშირის საპარლამენტო კრების პირველ სესიაზე გამოსვლისას, რუსეთ-ბელორუსიის კავშირის ჰიმნად, ყოფილი საბჭოთა კავშირის ჰიმნის გამოყენების იდეა წამოაყენა. (მექსპრესი)

# წაიკითხეთ, მხოლოდ ნუ აჯანყდებით...

### საქართველოს პარლამენტის კორუფციასთან ბრძოლის დროებითი საგამოძიებო კომისიის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

#### - თურქეთის კრედიტის განაწილების, ათვისების და დაფარვის საკითხში დაშვებული დარღვევების შესახებ

1992-93 წლებში საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებიდან და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან აღებული აქვს 1 მილიარდ 224 მილიონი დოლარის კრედიტი. კრედიტები საქართველომ მიიღო თურქეთის, რუსეთის, ჩინეთის, ავსტრიის, სომხეთის, აზერბაიჯანის, ყაზახეთის, თურქმენეთის სახელმწიფოებისაგან, აგრეთვე ევროგაერთიანებიდან, მსოფლიო ბანკიდან, საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან.

ყველასათვის გასაგებია, რომ საქართველო 1992-96 წლებში, რომელმაც ახლად მოიპოვა დამოუკიდებლობა, გადაიხადა სამოქალაქო ომი და ომი ტერიტორიული მთლიანობისათვის, კრედიტების აღების გარეშე ვერ შესძლებდა არსებობას, მაგრამ სხვა საკითხია როგორ აითვისა მან ეს კრედიტები და რამდენად მოხმარდა იგი სახელმწიფო აღმშენებლობას და მისი მოსახლეობის კეთილდღეობას. თუ ერთი სიტყვით შევაფასებთ ამ მდგომარეობას, უნდა ვთქვათ, რომ ძალიან ცუდად. ამის მიზეზი კი მრავალი ფაქტორი იყო. ერთის მხრივ, ეს იყო იმ ადამიანების არასაკმაო კვალიფიკაცია და გამოცდილება, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდნენ კრედიტების ათვისების, განაწილების და დაფარვის საქმეში და მეორეს მხრივ ზოგიერთი თანამდებობის პირის გულგრილობა, დაუდევრობა და უპასუხისმგებლობა, რამაც გამოიწვია სახელმწიფო ქონების გაფლანგვა და განიავება და რამაც სახელმწიფოს მიაყენა მილიონობით დოლარის ზარალი. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ მოქმედებებს თან სდევდა კორუფციული დანაშაულებიც, რაც სამართალდამცავ ორგანოთა ყურადღების არეში უნდა მოექცეს.

საზღვარგარეთის ქვეყნების და ორგანიზაციების კრედიტების ათვისებისა და დაფარვის მდგომარეობაზე არ არსებობდა ერთიანი სახელმწიფოებრივი კონტროლი, რამაც განაპირობა ზემოთაღნიშნული შედეგები, თუმცა საკანონმდებლო ბაზა ამ საკითხში, რომლის უქონლობასაც ხშირად ვაბრალებთ ჩვენს უნიათობას, თავიდანვე გვქონდა.

1992 წლის 8 სექტემბერს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ გამოსცა დეკრეტი, რომლითაც დააკანონა, რომ „გადაწყვეტილებას სახელმწიფო ვალის გაზრდის შესახებ იღებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა საერთო ლიმიტის ფარგლებში, რომელსაც აწესებს საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო ხელისუფლება". (მუხლი 2).

ამავე კანონის 26-ე მუხლით დაწესდა, რომ „საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ დაწესებული ლიმიტის ფარგლებში საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა იღებს გადაწყვეტილებას უცხოური კრედიტების გამოყენების შესახებ".

კანონის ეს მოთხოვნები არ შესრულებულა, რადგან პარლამენტს არასოდეს, ან თითქმის არასოდეს არ განუხილია საზღვარგარეთის კრედიტების აღების, ათვისების და დაფარვის საკითხები.

არ შესრულებულა ამ კანონის არც ის მოთხოვნა, რომ „ფინანსთა სამინისტრო ვალდებული იყო განესაზღვრა სახელმწიფო ვალის მართვის საერთო წესები, აღერიცხა მოზიდული და გაცემული სახელმწიფო კრედიტები და ეწარმოებინა მოლაპარაკებები უცხოელ კრედიტორებთან სესხის აღებისა და დაფარვის პირობებზე". საგარეო ვალების აღრიცხვა-მოწესრიგების საქმე ფინანსთა სამინისტრომ დაიწყო მხოლოდ 1996 წელს, როცა მის სტრუქტურაში შეიქმნა სპეციალური დანაყოფი ამ საქმიანობისათვის.

ზემოაღნიშნული კანონის შეუსრულებლობამ და მისი ცალკეული მოთხოვნების დარღვევებმა, როგორც ზემოთ ითქვა, სავალალო შედეგები გამოიწვია.

ამის ნათელი მაგალითია თურქეთის 50 მილიონიანი დოლარის კრედიტი, რომლის აღებაც მოხდა კაბალური პირობებით, ხოლო მისი განაწილება არა სახელმწიფოებრივი, არამედ პირადი თვალსაზრისით.

თურქეთის მიერ საქართველოსათვის კრედიტის გამოყოფის შესახებ შეთანხმება მოხდა ჯერ კიდევ 1992 წელს.

1992 წლის 10 დეკემბერს თურქეთში, ჭანტალიაში ერთმანეთს შეხვდნენ თურქეთის და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრები ბატონი ჰიქმეთ ჩეთინი და ბატონი ალექსანდრე ჩიკვაიძე. მათი შეხვედრის და მოლაპარაკების საგანი იყო ორ ქვეყანას შორის სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობების განმტკიცება და განვითარება, რაც ასახული იქნა შეთანხმების ოქმში, რომელსაც ხელი მოაწერეს ზემოთაღნიშნულმა პირებმა. შეთანხმების ოქმის მე-4 პარაგრაფში ჩაიწერა, რომ შემდგომი მოლაპარაკება უნდა გამართულიყო თურქეთის ექსიმბანკსა და საქართველოს ეროვნულ ბანკს შორის და რომ თურქეთის მხარე საქართველოს გამოუყოფდა 50 მილიონი დოლარის სასაქონლო კრედიტს.

ამავე შეთანხმების ოქმით დაწესდა, რომ „მიღებულ კრედიტებთან დაკავშირებულ ვალდებულებათა მიმართ გარანტად საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა" გამოვიდოდა.

1993 წლის 12 თებერვალს ჭანკარაში საქართველოს იმდროინდელმა ვიცე-პრემიერმა რომან გოცირიძემ და ფინანსთა მინისტრმა კახა პოპიაშვილმა დადეს საგარანტიო ხელწერილი თურქეთის მხარის წინაშე, რომ კრედიტის ანაზღაურების გარანტი იქნებოდა საქართველოს მთავრობა.

ამას მოჰყვა ხელშეკრულების შედგენა თურქეთისა და საქართველოს ექსიმბანკებს შორის, რომელიც გაფორმდა იმავე დღეს. ხელშეკრულებით საქართველოს მხარეს წარმოადგენდა საქართველოს ექსიმბანკის პრეზიდენტი მიხეილ ლიხაჩევი და ვიცე-პრეზიდენტი ვალერი ვიბლიანი.

თურქეთის კრედიტის პირობები მეტად მძიმე და კაბალური იყო, რაც გამოიხატება შემდეგში:

1. ეს იყო არა სავალუტო, არამედ ტექნიკური, სასაქონლო კრედიტი, რომელიც აკრედიტებდა ქართული მხარის მიერ თურქული წარმოების საქონლის შეძენას. ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო, რომ თურქეთის მხრიდან მოწოდებული პროდუქციის მინიმუმ 50 პროცენტი უნდა ყოფილიყო თურქული წარმოშობის.

2. კრედიტი იყო მოკლევადიანი (3 წლით) და დაფარვის პირობები იყო მეტად არახელსაყრელი, რადგან პირველ და მეორე წელს უნდა დაფარულიყო ვალის 40-40 პროცენტი, ხოლო მესამე წელს 20 პროცენტი.

3. ხელშეკრულებით წლიური პროცენტული გადასახადი დაწესებული იყო ე.წ. „ლიბორ"+1 პროცენტით, ხოლო ნებისმიერი თანხის გადაუხდელობა (როგორც ძირითადი, ისე საპროცენტო) - ჯარიმდებოდა ყოველი გადაუხდელი თანხის დამატებით ე.წ. „ლიბორ" + 4 პროცენტით. (როგორც ეკონომისტები აცხადებენ ასეთი მაღალი ჯარიმა საერთაშორისო საკრედიტო ურთიერთობაში იშვიათი შემთხვევაა).

4. კრედიტით გამოყოფილი თანხით ქართულ მხარეს შეეძლო დაეფარა მხოლოდ საქონლის ღირებულების 95 პროცენტი, ხოლო 5 პროცენტი უნდა თვითონვე გამოეძებნა და კონტრაქტის დადებისთანავე ჩაერიცხა თურქული მხარისათვის, რაც დამატებით სიძნელეებს ქმნიდა, რადგან სახელმწიფოს იმ დროისათვის ასეთი თანხები არ გააჩნდა.

5. პროცენტის გადახდის პერიოდად დადგენილი იქნა ყოველი 6 თვე.

რა თქმა უნდა ნორმალური სახელმწიფო, ნორმალურ პირობებში ასეთ ხელშეკრულებას ხელს არ მოაწერდა, მაგრამ იმ დროისათვის ჩვენ არც ნორმალური სახელმწიფო ვიყავით და არც ნორმალური პირობები გვქონდა.

საბაზო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა კომიტეტმა გაანალიზა თურქული კრედიტით დასაფინანსებელი პროექტების რეალური მდგომარეობა და 1993 წლის 13 ოქტომბერს თავისი დასკვნა წარუდგინა მინისტრთა კაბინეტს, ფინანსთა მინისტრს ბატონ დავით იაკობიძეს.

1993 წლის 29 ოქტომბერს მინისტრთა კაბინეტის აპარატის №21 39 ოქმით, რომელსაც ხელს აწერს მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე ბატონი ოთარ ფაცაცია, თურქეთიდან მიღებული კრედიტით დაფინანსდა შემდეგი ორგანიზაციები:

1. პურპროდუქტების კორპორაცია
ათვისებული თანხა 11784625
2. ვაჭრობის სამინისტრო
ათვისებული თანხა 8503185
3. „კოკა-კოლა კავკასიონი"
ათვისებული თანხა 4944998
4. შულავერის მატყლის ქარხანა
ათვისებული თანხა 2374012
5. სასმელი წყლის ქარხანა „გევა"
ათვისებული თანხა 4750000
6. ფირმა „არაგვი"
ათვისებული თანხა 1693103
7. კავშირგაბმულობის სამინისტრო
ათვისებული თანხა 4997605
8. რუსთავის ცემენტის ქარხანა
ათვისებული თანხა 2569750

სულ 50 მილიონი დოლარის კრედიტიდან, ათვისებული იქნა 41.517.278 დოლარი.

დასაწყისი იხ. „საქართველო" №53-55.

გაგრძელება ორშაბათის ნომერში

## „დღეიდან არცერთი მოწმე სახლში აღარ გაათევს ღამეს"

13 ივნისს, 03 საათსა და 30 წუთზე, ბარნოვის ქუჩაზე, უშიშროების ყოფილი თანამშრომლის ზვიად მეფარიძის საცხოვრებელ სახლთან, დაუდგენელმა პირმა მაკაროვის სისტემის პისტოლეტიდან გაისროლა. ერთი მჭიდი ვაზნებიდან ერთი ტყვია მეფარიძის აივანს მოხვდა.

აღნიშნული ინფორმაცია ჟურნალისტებს ედპ-ს ლიდერმა ი.სარიშვილი-ჭანტურიამ გუშინ გამართულ პრეს-კონფერენციაზე მიაწოდა. მისი თქმით, უკვე დაიწყო მუქარა იმ პირთა მიმართ, ვინც 12 ივნისს, პარლამენტის სამართალდამცავი ორგანოების ზოგიერთი თანამდებობის პირთა არაკონსტიტუციური ქმედებების დროებით საგამოძიებო კომისიის სხდომაზე მისცა ახსნა-განმარტება. ედპ-ს ლიდერის თქმით, დღეიდან არცერთი მოწმე სახლში აღარ გაათევს ღამეს. (იფრინდა)

## აზერბაიჯანული ნავთობი ჩეჩნეთისაკენ...

გუშინ სოჭში რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ჩერნომირდინმა და ჩეჩნეთის პრეზიდენტმა ასლან მასხადოვმა აზერბაიჯანული ნავთობის ჩეჩნეთის გავლით ტრანსპორტირებისა და ჩეჩნეთსა და რუსეთს შორის საბანკთაშორისო ურთიერთობის შესახებ მემორანდუმს მოაწერეს ხელი.

ვარაუდობენ, რომ დღესვე შესდგება საბაჟო ურთიერთობის რეგულირების ხელშეკრულების ხელმოწერა.

## „თავმდაბალი" პრეზიდენტი...

თურქმენეთის პარლამენტის პრეზიდიუმის დადგენილებით მიიღეს გადაწყვეტილება კასპიის ზღვის კრასნოვოდსკის ყურის სახელის შეცვლის შესახებ.

ინტერფაქსის კორესპონდენტის ცნობით, ყურეს თურქმენეთის პრეზიდენტის საფარმურატ ნიაზოვის სახელი ეწოდა. დღეისათვის რესპუბლიკაში ნიაზოვის სახელს 100 ობიექტი ატარებს, მათ შორის ერთი ქალაქი.

აღსანიშნავია, რომ 1994 წელს პრეზიდენტმა ნიაზოვმა ყველას მის სახელთან დაკავშირებით სახელწოდებების შეცვლის კამპანიისაკენ მოუწოდა.

## რუსეთი სამარეს გაითხრის...

„ჩეჩნეთში კონფლიქტის გამომწვევი მიზეზების მიჩუმათება მისი ჩრდილოეთ კავკასიაში გავრცელების ტოლფასია" - განაცხადა რუსეთის ფედერაციის ეროვნებათა და ფედერალურ ურთიერთობათა სამინისტროს წარმომადგენელმა მიხაილ ბურლაკოვმა. მისი თქმით, ჩეჩნეთში არასასურველი სიმპტომები გენერალ დუდაევის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდგომ დაიწყო. ჩეჩნეთში მცხოვრები რუსულენოვანი მოსახლეობის შევიწროების წინააღმდეგ ფედერალურ ხელისუფლებას რეაგირება არ მოუხდენია, - დასძინა ბურლაკოვმა.

დღეისათვის ანალოგიური სიტუაცია იქმნება სხვა ჩრდილოკავკასიურ რესპუბლიკებშიც. კერძოდ, რუსულენოვანი მოსახლეობის შევიწროების ფაქტები გახშირდა დაღესტანში, ადიღესა და ყარაჩაი-ჩერქეზეთში.

„ამ სიმპტომების იგნორირებით რუსეთი ჩრდილო კავკასიაში სამარეს გაითხრის" - აღნიშნა მიხაილ ბურლაკოვმა. (მექსპრესი)

პარლამენტის ბიბლიოთეკა

## სიკვდილით დასჯა ძალაშია

თურქმენეთის პარლამენტის მიერ მიღებული სისხლის სამართლის ახალი კოდექსის თანახმად შენარჩუნებულია სასჯელის უმაღლესი ზომა სიკვდილით დასჯა. სასჯელის უმაღლესი ზომა 13 შემთხვევაშია გათვალისწინებული. მათ შორის განზრახ მკვლელობა, სახელმწიფოს ღალატი, გაუპატიურება, შპიონაჟი, პრეზიდენტის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფა.

სისხლის სამართლის ახალი კოდექსით თავისუფლების აღკვეთის უმაღლეს ზომად განსაზღვრულია 20 წელი.

## ე.პრიმაკოვი და ვლ.არძინბა კონფლიქტის მოწესრიგების გეგმას განიხილავენ

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი პრიმაკოვი სეპარატისტული აფხაზეთის ლიდერს ვლადისლავ არძინბას შეხვდა.

შეხვედრაზე განიხილეს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების საკითხთა ფართო სპექტრი, კერძოდ, პოლიტიკური დოკუმენტის პროექტი, რომელზედაც, როგორც მოსალოდნელია, ხელს მოაწერს თბილისი და სოხუმი. (მექსპრესი)

## ერთი ძალიან მძიმე შეცდომის გამო

გუშინ გაზეთ „საქართველოში“ დაიბეჭდა სააგენტო ბი-ჯი-აი-ს ინფორმაცია „ჩიბიროვი მზად არის დაიცვას თავისი ხალხის ინტერესები“. სამწუხაროდ, აღნიშნული ინფორმაცია ჩემგან წაუკითხავად მოხვდა გაზეთში, რის გამოც ტირაჟირება გაეწია ყოვლად აღმაშფოთებელ ფრაზას. კერძოდ, ინფორმაციაში ვკითხულობთ: „ოსური მხარე სრულად ასრულებს 1997 წლის 4-5 მარტის მოსკოვის ოქმში დაფიქსირებულ შეთანხმებას, – განაცხადა სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა, ლუდვიგ ჩიბიროვმა“.

არსებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკისა და მისი თვითმარქვია პრეზიდენტის ხსენება აღნიშნული ფორმით, ჩემის აზრით, უნდა ითვლებოდეს საქართველოს კონსტიტუციის ხელყოფად და ნებისმიერი სააგენტო თუ გაზეთი, თუ რადიო ან ტელევიზია უნდა ისჯებოდეს ანტიკონსტიტუციური ქმედებისათვის.

გაზეთ „საქართველოს“ კოლექტივი ბოდიშს უხდის მკითხველებს სააგენტო ბი-ჯი-აი-ს ამ ყოვლად გაუმართლებელი ფრაზის, რაც ალბათ უნებლიედ მოუვიდათ, ტირაჟირებისთვის.

**ნოდარ გრიგალაშვილი**

# „მტრის გასრესა სიამოვნებაა“

## ვერსია — მეოთხე. სისხლიან-პარადოქსალური

მე ზოგიერთ თანამედროვე გენერალს დავუსვი კითხვა: რატომ? რა მიზნის მისაღწევად დახვრიტეს წითელი არმიის ნაღები? ხოლო შემდეგ (სულ ერთ წელიწადში) ორმოცი ათასი მეთაურიც მათ გზას გაუყენეს. ყველანი მხრებს იჩეჩავდნენ: ტერორი პროფესიების მიხედვით არ არჩევს... ხოლო ერთმა (ძველმა, გამოწრთობილმა მარშალ კონევის ციტატაზე მიმითითა. კონევმა ბრძანა: „ამ მხედართმთავრებს შორის: ტუხაჩევსკი, ეგოროვი, იაკირი, კორკი, უბორევიჩი, ბლიუხერი, დიბენკო..., რომლებიც გაანადგურეს, თანამედროვე მხედართმთავრების რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ მხოლოდ ტუხაჩევსკი და უბორევიჩი. უმრავლესობა კი ვოროშილოვისა და ბუდიონის მსგავსნი იყვნენ. ისინი იყვნენ მეომრები, ცხენოსანი არმიელები, რომლებიც წარსულით ცხოვრობდნენ. ბლიუხერმა ჩააფლავა ხასანის ოპერაცია, ვოროშილოვმა – ფინეთის ომი. ისინი რომ არმიას ჩასდგომოდნენ სათავეში, ომი სხვანაირად წარიმართებოდა.

იმისათვის, რათა მოსალოდნელი ომი გამარჯვებით დასრულებულიყო, საჭირო იყო წითელი არმიის სამეთაურო შემადგენლობის სისხლის „გამოცვლა“, გაახალგაზრდავება.

რას იზამ... ესეც ვერსიაა.

უმრებენ).

პრიმაკოვი გატყდა. წითელი კაზაკობის მეთაური მოსკოვში გამოიძახეს, რათა გზაშივე დაეპატიმრებინათ. როდესაც ვაგონში НКВД-ს ხალხი შევიდა და მას შესთავაზეს დანებება, მან ისინი გალახა, დაბა და ხელისუფლებას ჩააბარა. შემდეგ დარეკა და სტალინს მოახსენა საგზაო შემთხვევის შესახებ.

მოსკოვში მას უფრო მაღალი დონის შეხვედრა მოუწყეს. ამიტომაც გატყდა და საჯაროდ ცნო თავი დამნაშავედ. ის იყო ერთადერთი სხვებისგან განსხვავებით.

ულრიხმა შეთითხნა „სამხედრო ფაშისტური“ შეთქმულება გერმანიის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებთან ბრალდებულთა კონტაქტების მითითებით. ეს სიძნელეს არ წარმოადგენდა: 1926 წელს ტუხაჩევსკი გერმანიაში იყო მიელინებით, სადაც ხელი მოაწერა გერმანიის ერთ-ერთ ფირმასთან ავიაციის სფეროში თანამშრომლობის დოკუმენტს. იაკირი გერმანიაში გენშტაბის კურსებზე სწავლობდა 1929 წელს. კორკი გერმანიაში იყო სამხედრო ატაშეს თანამდებობაზე...



სტალინი და მისი ტრაგიკული ბედის შვილები — ვასილი და სვეტლანა

## ვერსია — მეხუთე. ოფიციალური

ტუხაჩევსკიმ, იაკირმა, უბორევიჩმა, ეიდემანმა, ფელდმანმა, პრიმაკოვმა და პუტნამ თავი დამნაშავედ ცნეს გერმანიის დაზვერვასთან თანამშრომლობის ბრალდებით, მიზნად ჰქონდათ დასახული მემამულეებისა და კაპიტალისტების ძალაუფლების აღდგენა (ასე წერდა „პრავდა“).

„სკპ (ბ) ცკ წევრის რუძუტაკისა და სკპ (ბ) ცკ წევრობის კანდიდატის ტუხაჩევსკის მამხილებელი მონაცემების საფუძველზე, რომელთაც ბრალად ედებათ ანტისაბჭოურ, ტროცკისტულ-მემარჯვენე შეთქმულებათა ბლოკში მონაწილეობა და ჯაშუშური მოღვაწეობა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ფაშისტური გერმანიის სასარგებლოდ, სკპ (ბ) ცკ პოლიტბიურო კენჭისყრაზე აყენებს საკითხს რუძუტაკისა და ტუხაჩევსკის პარტიიდან გარიცხვისა და მათი საქმის შინსახკომისათვის გადაცემის თაობაზე.

სკპ (ბ) ცკ მდივანი
ი.სტალინი

ამ დოკუმენტიდან იწყება ტერორი. დოკუმენტი წრეზე დატრიალდა. ბუდიონი აწერს: „უსიტყვოდ ვეთანხმები, აუცილებელია ამ არამზადების დახვრეტა“. მიხეილმა სიტყვას "ვეთანხმები" სამგზის ხაზი გაუსვა. თანხმობა გამოხატეს ვოროშილოვმა, მიქოიანმა, ხრუშჩოვმა.

სასამართლო დიდხანს არ გაგრძელებულა: დაიწყო 1937 წლის 11 ივლისის დილის 9 საათზე. სადილის შემდეგ უკვე დამთავრებული იყო. სასამართლო დამცველებისა და გასაჩივრების უფლების გარეშე ჩატარდა.

ბრალმდებლის მაგიდასთან უნდა მჯდარიყო მუშურ და გლეხური წითელი არმიის პოლიტიკური სამმართველოს უფროსი იგამარნიკი („არმიის სინდისი“, როგორც მას უწოდებდნენ), მან წინა დღეს თავი მოიკლა. არ დაიჯერა ბრალდების საშინელება. მანამდე მას სამჯერ მიაკითხა ბლიუხერმა. ცდილობდა დაეყოლიებინა. შემდეგ სხვები მოვიდნენ სამოქალაქო ფორმით. დალუქეს სეიფი. გამარნიკი ყველაფერს მიხვდა. ამოიღო რევოლვერი და თავი მოიკლა. ბრალდებულები და მოსამართლენი ერთმანეთის პირდაპირ ისხდნენ. ყველა კარგად იცნობდა ერთმანეთს. იაკირი, ბრალდებულთაგან ყველაზე ახალგაზრდა, აფთიაქარის შვილი. ციხიდან მან წერილი გამოუგზავნა ადამიანს, რომლისაც უფრო მეტად სწამდა, ვიდრე საკუთარი თავისა: „ძვირფასო, საყვარელო ამხანაგო სტალინ! მე ვკვდები და ჩემი უკანასკნელი სიტყვები თქვენი, პარტიის, ქვეყნის სიყვარულისა და კომუნიზმის გამარჯვების მხურვალე რწმენას გამოხატავს“. მისი წერილი სტალინმა წინანდელივით ჩამოატარა. პირველმა დააწერა: „არამზადა და თახსირი. სტალინი“. „სავსებით ზუსტი განსაზღვრაა. ვოროშილოვი, მოლოტოვი“. „მოღალატეს, არამზადას და ბ... (ეს სიტყვა ქართულად და რუსულადაც ერთი და იგივე ასოთი იწყება, – მთ.შენ.) ერთი სასჯელი ეკუთვნის – სიკვდილი. კაგანოვიჩი“. (სულ მალე ვოროშილოვის, მოლოტოვის, კაგანოვიჩისა და კალინინის ცოლებსა და ნათესავებს ზონებში გაისტ-

დასაწყისი იხ. „საქართველო“ №55.

მათ არ ცნეს თავი დამნაშავედ – „პრავდა“ ცრუობდა.

სინამდვილეში „მამხილებელი“ დოკუმენტები, ეჟოვის „ჩაწოდებით“, აბვერის თანამშრომლებმა შექმნეს. სტალინმაც „ყლაპა“, ვითომ „მამხილებელი“ დოკუმენტები თითქოს მოიპარეს გერმანიის სამხედრო უწყებაში გაჩენილი ხანძრის დროს და ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტის ბენეშის დახმარებით სტალინს მოუტანეს. კომბინაცია ყველას აწყობდა: სტალინი იწყებდა არმიის „წმენდას“, ხსნიდა ტერორს, ხოლო გერმანელები ხელებს იფშვნეტავდნენ სასიამოვნო მოლოდინში, როდის დაუძლურდება მოწინააღმდეგე.

მეტი დამაჯერებლობისათვის ეჟოვის ხალხმა „კომპრომატი“ გერმანელებისაგან სამ მილიონ მანეთად იყიდეს. ეს სარეკორდო თანხაა. „ბერლინისა და მოსკოვის მოქმედებათა სინქრონულობა აბსოლუტური იყო“, – შენიშნავენ ისტორიკოსები, პლიმაკი და ანტონოვი.

სულ მალე „მოსამართლენიც“ ბლიუხერი, ალქსნისი, ბელოკი, დებენკო..., განსასჯელთა სკამზე აღმოჩნდნენ. ბლიუხერს თვალი ამოუგდეს, სახე გაუერთიანეს. მან ხელი არაფერს არ მოაწერა. აწამეს ლამაზი დებენკო. შეიძლება არც კი იცოდნენ, რომ სწორედ მან ითამაშა გადამწყვეტი როლი ოქტომბერში, როდესაც გატჩინის კაზაკობა პეტროგრადისაკენ წაიყვანა დროებითი მთავრობის წინააღმდეგ. ლამაზ მატროსს უყვარდა ალექსანდრა კოლონტაი. როდესაც მათ ერთმანეთი გაიცნეს, იგი 29 წლისა იყო, ალექსანდრა კი 46-ის. და ყველაფერი კარგად აეწყოთ...

1938 წლის ბოლოს სამხედრო საბჭოს ვოროშილოვმა მოახსენა: „1937-1938 წლებში ჩვენ „გავწმინდეთ“ წითელი არმია ოთხ ათეულ ათასზე მეტი ადამიანისაგან. მარტო 1938 წელს 100 ათას კაცამდე დავაწინაურეთ და წოდებები მივანიჭეთ! არმიის ხელმძღვანელობაში უდიდესი ცვლილებები მოხდა: სახკომსაბჭოსთან არსებული სამხედრო საბჭოს შემადგენლობაში მხოლოდ 10 კაცი დარჩა ძველი შემადგენლობიდან...“

ერთი წლის განმავლობაში მეთაურთა შემადგენლობის 45 პროცენტი დაიღუპა.

1938 წლის 12 დეკემბერს სისხლიანი დრამის რეკორდი დამყარდა: სტალინმა და მოლოტოვმა 3167 ადამიანის სიკვდილით დასჯას მისცეს სანქცია. სულ ერთი დღე!

## ვერსია — მეექვსე. მთავარი

1937 წლის დროინდელი დახვრეტები არ შეიძლებოდა რომ არ ყოფილიყო.

ტერორი სახელმწიფო პოლიტიკა იყო. საზოგადოების საფუძველი გახდა შიში. ყველა იმას იღებდა, რისკენაც მიისწრაფვოდა, რისთვისაც იბრძოდა.

აი, იმათი სიტყვები, ვინც დააარსა სახელმწიფო: „პროლეტარული დაძალება, თავისი ყველა ფორმით, დახვრეტებიდან დაწყებული, წარმოადგენს კაპიტალიზმის ეპოქის ადამიანური მასალიდან კომუნისტური ადამიანის ჩამოყალიბების მეთოდს“. ეს ბუხარინის დაწერილია – „რევოლუციის ოქროს შვილი“ (დახვრეტის მოლოდინში „ოქროს შვილმა“ ციხიდან 43 წერილი მისწერა სტალინს. ყველა წერილი სავსეა პარტიის, ხალხისა და პირადად ამხანაგი სტალინისადმი სიყვარულის ახსნით).

„პირადი პურის ნორმა შეუმცირდეთ იმათ, ვინც ტრანსპორტზე არ მუშაობს... დაე კიდევ ათასები დაიხოცნენ, მაგრამ ქვეყანა გადარჩება“. ლენინი.

მოხეტიალე რუსეთი უნდა მოვსპოთ. ჩვენ შევქმნით მშრომელთა არმიებს, ადვილად მობილიზირებად და ერთი ადგილიდან მეორეზე ადვილად გადასასროლს. შრომის მხარდაჭერა პურის ყუთი. დაუმორჩილებლები და უდისციპლინოები სიკვდილით დაისაჯონ. დაძალება რომ ნაკლებად სამძიმო იყოს, ჩვენ უნდა ვიყოთ ზუსტი ინვესტორთა და ინსტრუმენტებით მომარაგების საქმეში...“ ტროცკი (ბედის ნიშანი: სწორედ „ინვენტარით“ – ყინულის სატეხით – გაუპო თავი ტერორისტმა მერკადერმა ტერორიზმის თეორეტიკოსს, ტროცკის).

„უდიდესი შეცდომა იქნება ვიფიქროთ, რომ ნეპ-ს ძალუძს ტერორის შეჩერება. ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით ტერორს და თანაც ეკონომიკურ ტერორს“. ლენინი – სწერს კამენევს, მაშინ როდესაც მისი გამწვანებული ტვინი ბოლო კალორიებს ხარჯავდა. მას ეკუთვნის ხალხის 90 პროცენტს განადგურების იდეა, რათა დანარჩენმა 10-მა „მსოფლიო რევოლუციამდე“ მიაღწიოს.

ტერორი, როგორც იდეა, ყველა შემდგომ პოლიტიკოსს აძლევდა ხელს. ეს მშვენივრად გაიგო სტალინმა. მე მგონია, ეს ესმოდათ და ესმით მათ კვალზე მოსიარულეებს.

შვილი მამისათვის პასუხს არ აგებს?

რა ბედი ეწიათ რეპრესირებულთა ნათესავებს? მათი უმეტესობა საკონცენტრაციო ბანაკებში დაიღუპა.

იყო გამონაკლისებიც. მარშალ ეგოროვის ქალიშვილმა, ტატიანამ, მამის დახვრეტის შემდეგ უცხო ენათა ინსტიტუტი დაამთავრა, გათხოვდა, გახდა კუზნეცოვა და არა ეგოროვა. გაუჩნდა ვაჟი.

ტანიას დედამ (ეგოროვთან იგი უკვე გაყრილი იყო) წამების შემდეგ აღიარა, რომ პოლონეთის ჯაშუში იყო. მოჰყვა რეპრესიებში.

აქ ის არის საინტერესო, რომ იმავე კომუნალურ ბინაში ცხოვრობდა ტანიას მეგობარი ნინა ჩერმენსკაია (ალექსეევა) – საგუნდო მომღერალი. ნინა ბერიას საყვარელი იყო. რა თქმა უნდა, თავისი ნების საწინააღმდეგოდ. ბერიამ დაინახა თუ არა ის ფანჯარაში, გასცა ბრძანება მისი მოძებნისა და მასთან მიყვანის შესახებ.

ტანია ეგოროვამ ჩერმენსკაია მამას გააცნო. მამა კი მას ვაშლებით გაუმასპინძლდა. მომღერალი ეგოროვს რუსულ სიმღერას უმღეროდა „Не брани меня родная, что я так тебя люблю...“

შვილები და ცოლები ტუხაჩევსკის, უბორევიჩის, გამარნიკის, ასტრახანში გადაასახლეს. ივნისში მამები დახვრიტეს, სექტემბერში დედები აიყვანეს. ბავშვები ასტრახანის საბავშვო სახლში მოათავსეს. შემდეგ სვერდლოვსკის ოლქში გადაიყვანეს.

ტუხაჩევსკის, გამარნიკის, უბორევიჩის ცოლები დახვრიტეს.

გამარნიკის ქალიშვილი, ვიკა გათხოვდა, ეყოლა სამი შვილი, ბოლოს ბანაკში იმშობიარა, კრასნოიარსკის მხარეში.

ბლიუხერს ორი ქორწინებიდან ოთხი შვილი დარჩა. პოეტმა ლარისა ვასილევამ ორი მათგანის ბედი გამოიკვლია. ვსევოლოდი იყო საბავშვო მიმღებ-გამანაწილებელში. ომობდა წარდგენილი იყო ჯილდოებზე. მაგრამ მხოლოდ 1964 წელს მიანიჭეს წითელი დროშის ორდენი. ვასილინი (უმცროსი) უგზოუკვლოდ დაიკარგა.

ცოცხალია ბუდიონის ქალიშვილი ნინა. დაამთავრა МГУ-ს ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. მხიარული, შესანიშნავი ადამიანი. დაწერა წიგნი მამის შესახებ, მაგრამ ვერ გამოსცა. სამწუხაროა... ამ წიგნს სიამოვნებით წაიკითხავდა შირვინდტი. ნინა ხომ მისი მეგობრის, მიხაილ დერჟავინის ცოლი იყო...

**სერგეი რიკოვი.**

**თარგმნა პ.მანძულაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ რამე...

### ბინები

იყიდება ოროთახიანი ბინა ვაზისუბანში 28 კვ.მ და 22 კვ.მ სამზარეულოთი, ავეჯით, ტელეფონით და საკუჭნაოთი. ფასი შეთანხმებით. ზემელის ქ.№35 ტელ. 98-89-75

იყიდება ოთხნახევრიანი იზოლირებული ბინა სოლოლაკში, ტელეფონით, სარდაფით, მანქანის გასაჩერებელი ადგილით. ფასი შეთანხმებით. ტელ. 61-76-81; 98-68-09;

სასწრაფოდ იყიდება ვაკეში კერძო ბინა 1000 კვ.მ მიწის ფართობით ფასი შეთანხმებით. ტელ. 29-09-37; 29-21-75

ვიყიდი სამოთახიან ბინას 7000$-ის ფარგლებში. ნუცუბიძის პლატოზე ან ძველ უბანში. ტელ. 37-28-25

იყიდება 2 ოთახიანი, მაღალჭერიანი, სუფთა ბინა, ფართი 40 კვ.მ, რკინის კარებით, სარდაფით, ავტოსადგომით, ქუჩის მხარეს აქვს აივანი. სამზარეულო და საპირფარეშო ორ ოჯახზე. ფასი 12000 დოლარი. ტელ. 98-75-15

იყიდება ოროთახიანი ბინა ვაჟა-ფშაველას I კვარტალში მეტრო „გოცირიძესთან". ხუთსართულიანი სახლის V სართულზე. ტელეფონით, ცხელი წყალი მუდმივად, ბინა სარემონტოა, ფასი შეთანხმებით. ტელ. 39-33-06

იყიდება კერძო სახლი ნაძალადევის რ-ნის კომისარიატის ზევით ახტალის ქ №6, ხეხილიანი ეზოთი. ფასი 6000 $ გაფორმებით. ტელ. 31-62-04 თამაზი

ვცვლი რუსთავიდან 2 ოთახიან ბინას თბილისში 1 ოთახიან ბინაზე გლდანის მასივში IV-V მკრ-ბის ჩათვლით, II ან III სართულზე. მის. რუსთავი, IV მკრ, კორპ. 40, IV სართული, სტამბულის ბაზრის პირდაპირ. ტელ. 67-64-20 სოფიკო; 60-83-48 ნუნუ

### სხვადასხვა

იყიდება გერმანული აკორდეონი. ფასი 120 ლარი. ტელ. 98-38-98

ვყიდი ინგლისური სადილის სერვიზს 12 კაცზე, (62 ნაჭერი). ფასი 700 ლარი. არაბული სასადილო (4 ნაჭერი). ჩუქურთმებით, 4000 ლარი, ტელ. 36-35-80

მაქვს პედაგოგიური და სამედიცინო-ფარმაცევტიულ განათლება, მოვუვლი მოხუცებულს ან ბავშვს (5-10 წლამდე), აგრეთვე ვიმუშავებ კერძო ფირმაში ან რესტორანში ნებისმიერ სამუშაოზე. ტელ. 98-38-98

იყიდება პიანინო „საქართველო" კარგ მდგომარეობაში. ტელ. 38-26-67

იყიდება 6 ნაწილისაგან შემდგარი ასაწყობი ბუხარი. ფასი 250$ ტელ. 31-62-04 თამაზი

იყიდება ორი მაცივარი „ოკა-6" და „სნაიგე" (ბალტიისპირეთის), სარეცხი მანქანა, შეფუთული „რიგა-17" და რუმინული ავეჯის ვიტრინა. დიდი საოჯახო კომბაინი, შეფუთული, გერმანული. გალვანიზაციის აპარატი (სამედიცინო). ტელ. 72-40-57

### ქირავდება

ქირავდება ვაკეში კერძო ბინის ეზოში ერთოთახიანი ბინა. ფასი 70 ლარი. ტელ. 29-09-37

ქირავდება 3 ოთახიანი ბინა, დიღმის მასივში ხიდთან პირველი 14 სართულიანი სახლის ბოლო სართულზე, ტელეფონით. ლიფტი მუშაობს. ფასი 120 დოლარი. ტელ. 98-25-63

### ვასწავლი

მოვამზადებ მოსწავლეებს, აბიტურიენტებს, სტუდენტებს ინგლისურ ენაში ტელ. 31-16-87; გერმანულ ენაში ტელ. 36-09-48 ლია

### მოვუვლი

მოვუვლი და აღვზრდი ნებისმიერი ასაკის ბავშვს. ვარ უმაღლესი პედაგოგიური განათლებით. ტელ. 73-02-74 ანოლი

მოვუვლი ბავშვს, ვარ უმაღლესი პედაგოგიური განათლებით. მაქვს მუშაობის საკმაო გამოცდილება. სანიტარული წესების სრული გარანტიით. გულთბილი ატმოსფერო და სიყვარული ნებისმიერი ასაკის ბავშვს არ მოაკლდება. ტელ. 29-16-33 ქალბატონი გულიკო.

ვაკეთებ სამედიცინო მასაჟებს, მოვუვლი ავადმყოფს და დავეხმარები კარგადმყოფთ საოჯახო საქმეებში, მოვამზადებ ბიოლოგიაში. ტელ. 73-35-26 ფატიმა




კომპიუტერზე მუშაობის შესწავლის მსურველთა საყურადღებოდ!

განათლების სამინისტროს თბილისის ინფორმატიკის სასწავლო ცენტრი «მზიური» გიწვევთ პერსონალური კომპიუტერის შემსწავლელ კურსებზე

თქვენ შეისწავლით MS Office პაკეტის გამოყენებას თანამედროვე ოფისში

- თანამედროვე პერსონალური კომპიუტერები და კვალიფიციური პედაგოგები
- საერთაშორისო სტანდარტის სასწავლო პროგრამები და მეთოდიკა
- ინტერნეტის საუკეთესო სერვისი World Wide Web
- სერთიფიკატი, რომელიც გზას გაგიხსნით პრესტიჟული სამსახურისაკენ

მისამართი: ი.ჭავჭავაძის I ჩიხი, №37 („მზიურის" ტერიტორიაზე, ჩოგბურთის კორტებთან)

☎ 29-48-61, 23-53-17, 29-48-60

ფაქსი: 29-49-61



ექსპრეს აუდიტ სერვისი EXPRESS AUDIT service

აუდიტორული საქმიანობის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ექსპრეს-აუდიტ სერვისი

გთავაზობთ შემდეგი სახის აუდიტორულ მომსახურეობას ზოგად აუდიტში:

1. საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის აუდიტორული შემოწმება და შეფასება.
2. საკონსულტაციო მომსახურეობა და რეკომენდაციები.
3. ქონების შეფასება.
4. ბუღალტრული მომსახურება.

მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №5 II სართული. ტელ. 93-15-89



ვაქვეყნებთ უფასო განცხადებებს

დაგვირეკეთ ყოველდღე: 93-18-41


## რა როდის რომელ არხზე

### შაბათი, 14 ივნისი

**1** 9.00 „9-დან 12-მდე" 12.00 „მოამბე" 12.15 XXI-ე 12.40 მლ.ფილმი 13.10 ლეგენდა როკზე 14.40 მესაკუთრე 14.55 მხ.ფილმი „მსუქანა და პატარა ბიჭი" 16.40 კლუბი 700 17.10 შეხვედრა მხატვართან 17.25 მანა-96 18.00 „მოამბე" 18.20 ინტერმეცო 18.40 საქართველოს კონსტიტუცია 20.00 „მოამბე" 20-35 რეკლამა 20.40 აუდიენცია; 20.50 „ბასტი-ბუბუ" 21.10 სტუდია „მაესტრო" 22.30 ილუზიონი 00.00 „ჭიშის საათი".

**2** 19.00 „ინფორმაცია მეორე არხი" 19.20 საბავშვო გადაცემა „ჩიპო", სპორტული გადაცემა „5X5", „ეკონომიქსი", „ოლიმპო", „პერსონა X" 21.30 სარეკლამო ბლოკი და „ინფორმაცია მეორე არხი" 22.20 მხ.ფ. - „პლატოს გაქცევა".

**კავკასია** 12.00 მლ.ფ. 12.40 ბრძოლა წესების გარეშე 14.00 მხ.ფ. „მოდერნისტები" 16.00 „ვარსკვლავები" 16.30 ჯაზ-პარნასი 17.00 საესტრადო პროგრამა 17.45 საინფორმაციო პროგრამა 18.00 მუსიკა.

**VI არხი** 17.05 „ტელეგაზეთი" 17.10 საინფორმაციო სააგენტო თთ წარმოგიდგენთ 17.30 გასართობი პროგრამა 18.15, 23.05 „პიჩიკატო" 18.20 „აჩიკუდას" საბავშვო კინოდარბაზი წარმოგიდგენთ მხ.ფ. „კუნინძები" 1 ს. 19.50 მუსიკა 20.05 „აჩიკუდა" 22.40 მხ.ფ. „ტანგო უფსკრულის თავზე" 23.10 კინოკლუბი წარმოგიდგენთ მხ.ფ. „როცა მამაკაცს უყვარს ქალი" 01.35 მუსიკა 01.40 დოკ.ფ. „საბრძოლო ზონა" 02.00 „ერალაში" უფროსებისათვის 02.15 ფილმი მოთხოვნით - მხ. ფ „პირველის მორჯულება".

**რუსთავი - 2** 18.00 კურიერი 18.15 მულტფილმი 18.30 „გზა ევონლისაკენ" - საბავშვო სერიალი; 19.20 „ადამსების ოჯახი" სერიალი 19.50 სერიალი „M.A.S.H" 20.30 SONY MOVIE SHOW 21.00 კურიერი 21.30 „საიდუმლო მასალები" 22.25 „ფსიქო" გოგი გვახარიას შოუ მხ.ფ. „ნაზარინი" 00.00 კურიერი 00.55 მხ.ფ. „მაკოლას პირში".

**ОРТ** 09.00 Х/Ф "При исполнени служебных обязанностей" 10.40 Лотто-миллион 10.45 Домашняя библиотека 11.00, 16.00, 19.00 Новости 11.10 Непутевые заметки 11.30 Пока все дома 12.10 Утренняя звезда 13.00 Служу России 13.30 Играй, гармонь любимая 14.00 Сельский час 14.25 Подводная одиссея команды Кусто 15.25 Смехопанорама 16.15 Приглашение к музыке 16.50 В мире животных 17.25 Один на один 17.55 Футбол, чемпионат России "Спартак" - "Локомотив" 20.00 Х/Ф "Професcионал" 22.00 Время 22.50 Киноафиша 22.55 Сериал "Когда мы встретимся вновь" 23.50 "Что? Где? Когда?" 01.05 Х/Ф "Фаринелли - кастрат".

**РТР** 09.00 Утренный экспресс 09.55 "Товары - почтой" 10.05 "Меморина" 10.30 Клуб "Адреналин" 10.45 "Доброе утро, страна!" 11.30 Пилигрим 12.00 "Вести в одиннадцать" 12.15 "Как много девушек хороших" 12.55 Арена для сенсации 13.20 Баскетбол. Чемпионат НБА. Финал 15.00 Вести 15.20 Анонимные собеседники 15.50 В мире животных 16.15 "Темная" для... 16.30 Спектакль "Каренная москвичка" 17.20 "Бесконечное путешествие" 17.50 Весь мир 18.30 Иосиф Кобзон. Прощальный тур 18.45 Волебол. Мировая лига. Россия - Куба 19.55 Субботный вечер с Григорием Чухраем 21.00 Вести 21.35 "Сам себе режиссер" 22.10 Х/Ф "Яблочко" 23.55 Совершенно секретно 00.50 Подиум Д'АРТ 01.35 Репертер 01.50 Программа "А"

**НТВ** 09.00, 10.00 Сегодня утром 11.00 Мультсериал 11.30 "Пойми меня" 12.00 Сериал "Войны времени" 12.45 От "Винта!" 13.00, 17.00 Сегодня днем 14.00 Хоккей 16.30 "Панорама" 18.00 "Русский альбом" 18.30 Мультсериал 19.00 Кино, кино, кино: Новости Голливуда 19.30 "Догшоу" 20.00. 23.00 Сегодня вечером 20.30 Герой дня без галстука 21.00 Х/Ф "Кошмар на улице Вязов" 22.45 "Куклы" 23.45 Сериал "Мафия" 00.30 "Империя страсти" 01.10 Футбольный клуб 02.00 Ночной канал.

**TV6** 09.00, 20.05, 00.15 Шесть новостей 09.15, 01.20 Дорожный патруль 09.30 Ералаш 10.05 Цептер-клуб 10.25 Х/ф "Василиса прекрасная" 11.45 Это мы не проходили! 12.15 Сериал о природе 13.15 "Откpития недели" 13.55 "Кинескоп" 14.00 Док. сериал "Теория заговоров" 15.00 Диск-канал для детей 15.55 Ток-шоу "Я сама" 16.55 Ток-шоу "Профессия" 17.45 Клуб одиноких сердец 18.20 Сериал "Элли и Джулс" 19.10 Париж, Париж 19.45 "Киноподробно" 20.15, 01.35 Диск-канал 20.55 "Скандали недели" 21.25 "ОСП-студия 22.15 "Фитиль" 22.30 Х/Ф "КАФФС" 00.25 "Обоз" 02.40 Знак качества.

### კვირა, 15 ივნისი

**1** 9.00 „9-დან 12-მდე" 12.00 „მოამბე" 12.20 „სპა" 12.50 „რეიტინგი" 13.00 ექსტრემალური სპორტი 13.50 მხ.ფილმი „არაგველები" 15.05 ტელე-სინე-ვიდეო 16.15 აუდიტორია 16.55 სპორტული პროგრამა 17.15 გლობუსი 18.00 „მოამბე" 18.15 აფხაზეთის ტელევიზია 18.55 50X50 19.55 ინტელექტუალური კლუბი 20.45 „როდის" 21.00 „მსგეფსი" 21.50 აუდიენცია 22.00 სპორტლოტო 22.10 თბილისი და თბილისელები 22.40 ეპოქა 23.35 სატელევიზიო კინოდარბაზი მხ.ფ. „სამნი გზაში" 00.20 ჭიშის საათი.

**2** 19.00 „ტაიმ-აუტი" 19.30 მულტფილმები. სპორტული გადაცემა. ვიდეოანონსი. „ვარსკვლავები გვამცნობენ" 21.55 „ტაიმ-აუტი" 22.15 რეკლამა 22.30 მხ.ფილმი „მაიკლი" პროგრამის დასასრულს - კონცერტი.

**კავკასია** 12.00 მლ.ფ. 12.45 ბრძოლა წესების გარეშე 14.00 მხ.ფ. „მოჩვენება და ბნელეთი" 15.50 სტუმრები სტუმრებთან 16.20 ჯაზ-პარნასი 17.00 „ვარსკვლავები" 17.30 საესტრადო პროგრამა 18.15 მულტფილმები.

**VI არხი** 17.05 „ტელეგაზეთი" 17.10 გასართობი პროგრამა 18.05, 23.20 „პიჩიკატო" 18.10 „აჩიკუდას" საბავშვო კინოდარბაზი წარმოგიდგენთ მხატვრული ფილმი „კუ-ნინძები" II ს. 19.30 მუსიკა 20.05 „აჩიკუდა" 22.40 მხ.ფ. „ჯეინ ეარი" 23.30 დოკ.ფილმი „საბრძოლო ზონა" 23.50 „ერალაში" უფროსებისათვის 00.05 ფილმი მოთხოვნით მხ.ფ. „მედისონის ოლქის ხიდები".

**რუსთავი - 2** 18.00 კურიერი 18.15 მულტფილმი 18.30 „გზა ევონლისაკენ" საბავშვო სერიალი 19.20 „მონტი პეიტონი" სერიალი 19.55 სერიალი „M.A.S.H" 20.30 შოუ 21.00 „კვირა" 21.30 „საიდუმლო მასალები" 22.20 მხ.ფ. „სიკვდილის მატარებელნი" 00.00 კურიერი 00.15 მხ.ფ. „კლუბი კოტონი".

**ОРТ** 07.00 Телеканал "Доброе утро" 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 01.05 Новости 10.20, 19.20 Сериал "Девушка по имени судьба" 11.10 Клуб путешественников 11.50 "СМАК" 12.15 Серебрянный шар 13.15 Х/Ф "Професионал" 15.25 Служу России 16.20 Мультсериал 16.45 "До-ми-соль" 17.10 "Лего-го!" 17.35 "Гарри - снежный человек" 18.00 До шестнадцати и старше 18.30 Магия: мир сверх естественного 20.05 Футбольное обозрение 20.30 "Человек и закон" 21.00 В поисках утраченного 21.45 Спокойной ночи, малыши! 22.00 Время 22.45 Х/Ф "Гу-га" 01.15 Тина Тернер в Москве 01.55 Пресс-экспресс.

**РТР** 08.00, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 Вести 08.15, 09.15 "С добрым утром!" 10.05 Люди, деньги, жизнь... 10.35 Телеспектакль 11.25 Док.фильм 12.15 Русская лото 13.00 Х/Ф "Алитет уходит в горы" 14.40 "Ретро-шлягер" 14.55 Магазин недвижемости 15.20 Самбо, кубок мира 16.05 Ивано, Петров, Сидоров и другие 16.45 Золотая карта России 17.10 Ничего, кроме... 17.30 Репортаж ни о чем 17.45 Довгань-шоу 18.15 Горячая тема 18.40 Один против всех 19.00 Парламентский вестник 19.25 L-Клуб 20.00 Ситуация 20.10 "Аншлаг" представлаяет 20.45 РТР в гостях у телезрителей 21.00 Зеркало 22.00 Фрак народа 23.00 Клуб знаменитых детективов 23.35 Футбол без границ 00.10 У Ксюши 00.40 Кинотавр-97 01.35 Рек-тайм 01.50 Гороскоп и видеомедитация.

**НТВ** 09.00, 10.00 Сегодня утром 11.00 "Устами младельца" 11.30 "Пойми меня" 12.00 Х/Ф "Войны времени" 12.45 От "Винта!" 13.00, 17.00 Сегодня днем 14.00 Книжный магазин 14.30 Маски-шоу 15.00 Сериал "Каролина в Нью-Йорке" 15.30 Алло, Фима 15.45 "Недотепы" 16.00 Время "Ч" 16.30 "Своя игра" 17.20 Криминал 17.40 Что по чем 18.00 Х/Ф "Рябиновые ночи" 19.15 "Русские гвозды" 19.45 Праздничное обращение Святейщего Патриарха Московского и Всея Руси Алексия второго 20.00 Сегодня вечером 20.30 Х/Ф "Американский дедушка" 22.00 "Итоги" 23.10 Хоккей 01.30 Третий власть 02.10 Товары почтой.

**TV6** 08.00, 10.00, 15.50, 19.05 Шесть новостей 08.10, 00.20 Диск-канал 08.40 Мультсериал 09.10, 20.00 Дорожный патруль 09.25, 15.05, 90X60X90 09.40, 12.15 Аптека 10.10, 12.30, 14.40, 17.30 Телемагазин 10.30 "Мое кино" 11.25 "Династия II" 13.00 Х/Ф "Центр Паутины" 14.30 Знак качества 15.20 Мультфильмы 16.00 Х/Ф "Крейсер" Варяг" 18.05 Сериал для подростков "Школа разбитых сердец" 18.35 "Скандалы недели" 19.15 Шоу Бенни Хилла 19.45 Телеконкретно 20.20 Обозреватель 21.10 Х/Ф "Золотая мина" 23.50 Клуб "12 копеек" 01.10 Теледискотека.

# ლატარეა ყველასათვის

13 ივნისს გამართულ მორიგ ტირაჟში „ლატარია ყველასათვის" მოიგო შემდეგმა ნომრებმა:

| | |
|---|---|
| 5000 ლარი – 572430; | 80 ლარი – *82983; |
| 1000 ლარი – 406389; | 70 ლარი – *39094; |
| 900 ლარი – 319271; | 60 ლარი – *31034; |
| 800 ლარი – 113955; | 50 ლარი – *33876; |
| 700 ლარი – 539769; | 40 ლარი – *99803; |
| 600 ლარი – 362905; | 30 ლარი – *18212; |
| 500 ლარი – 246901; | 25 ლარი – **2727; |
| 400 ლარი – 336343; | 20 ლარი – **4074; |
| 300 ლარი – 410216; | 10 ლარი – ***011; |
| 200 ლარი – 268349; | 10 ლარი – ***921; |
| 100 ლარი – 388107; | 10 ლარი – ***545; |
| 100 ლარი – 222298; | 1 ლარი – ***430; |
| 100 ლარი – 191123; | 1 ლარი – ***389; |
| 100 ლარი – 262012; | 1 ბილეთი – *****4; |
| 100 ლარი – 539925; | 1 ბილეთი – *****1. |
| 90 ლარი – *15071; | |

„ლატარია ყველასათვის" გათამაშდება ყოველ პარასკევს.

ოცდამესამე ტირაჟში მოგებული თანხები შეგიძლიათ მიიღოთ:

გორში: 50, 100 ლარი მოგება გაიცემა ბილეთის შეძენის ადგილზე, 300 ლარზე მეტი თბილისში.

ქუთაისში: 50, 100, 300, 500 ლარი მოგებები გაიცემა „თბილკომბანკის" ფილიალში ორშაბათს 15.00 საათიდან.

რუსთავსა და თბილისში: მოგებული თანხები გაიცემა თბილისში, სპორტის სასახლის სალაროებში 12-დან – 14 სთ-მდე – 25 ლარი 50 ლარი – შაბათს 14.00-16.00 სთ-მდე. 50 ლარის ზევით 11.00-12.00 სთ.

ბათუმში: მოგება გაიცემა ბილეთის შეძენის ადგილზე (500 ლარამდე).

1997 წლის **XXIII** ტირაჟის ლატარიის ბილეთების მფლობელები, რომელთა ბოლო ოთხი ციფრია **2885; 1165;** გათამაშებაზე შეუძლიათ 20 ივნისს ტელევიზიის შენობაში მობრძანდნენ.

ავტომანქანა „MERSEDES" მოიგო ლატარიის ბილეთმა **№544280.**

# საქართველოში ყველაზე მცირერიცხოვანი ქართული გვარები

*ფრჩხილებში მითითებულია ის სამი პუნქტი, სადაც ძირითადად ცხოვრობენ აღნიშნული გვარის წარმომადგენლები*

## ყ

ყაზახიშვილი – 22 (თბილისი – 16; გორი – 1; თელავი – 1);

ყალაიჩიშვილი – 37 (ბოლნისი – 36; თბილისი – 1);

ყალანდრიშვილი – 37 (თბილისი – 12; ახმეტა – 3; თელავი – 22)

ყამბეგაშვილი – 48 (თბილისი – 22; კასპი – 4; ახალგორი – 2);

ყანთელაძე – 39 (ქუთაისი – 23; ცაგერი – 8; წყალტუბო – 8);

ყარაბაღლიშვილი – 25 (გურჯაანი – 20; თბილისი – 4; თელავი – 1);

ყარაგვეზაშვილი – 26 (დედოფლისწყარო – 19; ახალციხე – 1; თბილისი – 6);

ყარამნიშვილი – 30 (გურჯაანი – 27; თბილისი – 1; რუსთავი – 2);

ყარასაშვილი – 44 (თბილისი – 32; გარდაბანი – 7; თელავი – 5);

ყარაჯაშვილი – 34 (ოზურგეთი – 6; თბილისი – 3; რუსთავი – 3);

ყაყაჩოველი – 34 (თბილისი – 21; მცხეთა – 13);

ყაჭრიშვილი – 36 (თბილისი – 27; გორი – 2; ბოლნისი – 1);

ყელაურაძე – 33 (თბილისი – 23; ოზურგეთი – 6; ქუთაისი – 4);

ყელაურიძე – 30 (თბილისი – 19; ტყიბული – 3; ოზურგეთი – 1);

ყელიგრეხაშვილი – 23 (თბილისი – 18; მცხეთა – 5);

ყესაშვილი – 47 (ქარელი – 20; თბილისი – 8; რუსთავი – 5);

ყვენწაშვილი – 47 (თბილისი – 6; ახმეტა – 1; რუსთავი – 1);

ყვინჩია – 23 (სამტრედია – 6; თბილისი – 4; ქუთაისი – 1);

ყინჩიყიძე – 40 (ზესტაფონი – 38; სენაკი – 1; ხაშური – 1);

ყირიმელაშვილი – 47 (თბილისი – 14; ახმეტა – 12; მცხეთა – 21);

ყიყიშვილი – 48 (დედოფლისწყარო – 11; გარდაბანი – 8; თბილისი – 7);

ყლარჯეიშვილი – 24 (თბილისი – 1; სამტრედია – 23);

ყოინაშვილი – 32 (გურჯაანი – 23; ზუგდიდი – 2; თბილისი – 2);

ყოლიაშვილი – 34 (გორი – 32; ქუთაისი – 2);

ყორაშვილი – 23 (თბილისი – 12; რუსთავი – 9; მცხეთა – 1);

ყორბეზაშვილი – 47 (ახმეტა – 30; თელავი – 6; თბილისი – 5);

ყორღოშვილი – 25 (ბორჯომი – 20; ბათუმი – 1; გორი – 1);

ყოჟუაშვილი – 35 (ონი – 29; თბილისი – 1; ქუთაისი – 5);

ყრინტაშვილი – 29 (თბილისი – 1; რუსთავი – 1; ყვარელი – 27);

ყუბუსიძე – 29 (თბილისი – 9; ქუთაისი – 7; ოზურგეთი – 1);

ყუთულაშვილი – 28 (თბილისი – 13; კასპი – 15);

ყუმბულაშვილი – 36 (გორი – 31; თბილისი – 5);

ყურაული – 35 (ახალგორი – 6; თბილისი – 6; დუშეთი – 5);

ყურაძე – 31 (ოზურგეთი – 25; ბათუმი – 5; ხარაგაული – 1);

ყურბანიძე – 20 (ბათუმი – 3; ხარაგაული – 2; ხელვაჩაური – 15);

ყურელი – 31 (გორი – 22; თბილისი – 7; სამტრედია – 1);

ყურთულაშვილი – 34 (გორი – 24; თბილისი – 10);

ყურშუა – 39 (ზუგდიდი – 38; ხობი – 1);

ყუფარაშვილი – 35 (თბილისი – 20; რუსთავი – 10; ბორჯომი – 1);

ყუფარიძე – 37 (თბილისი – 23; ქუთაისი – 5; გარდაბანი – 2).

ორშაბათს, 16 ივნისს, 12 საათზე, საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის შტაბ-ბინაში (თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №5) საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია და სამაჩაბლოს სამკვიდრო საბჭო აწყობენ პრესკონფერენციას თემაზე:

სიახლენი შიდა ქართლში

მომხსენებლები: სამაჩაბლოს სამკვიდრო საბჭოს თავმჯდომარე: გელა გელაძე

სგრპ-ის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე: ნოდარ ნათაძე

# კროსვორდი



ჰორიზონტალურად: 5. დახურული მსუბუქი ავტომობილის ტიპი, რომელსაც აქვს ორი ან სამი რიგი დასაჯდომები; 7. სევდიანი ლირიკული ლექსი; 8. უნივერსიტეტის ან სხვა უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელი; 9. ნაყოფიერებისა და დეობის მფარველი ქალღმერთი ეგვიპტურ მითოლოგიაში; 10. ფულის ერთეული გერმანიასა და ფინეთში; 11. მცენარეულის, მთვარისა და ნილოსის ღმერთი ეგვიპტურ მითოლოგიაში; 12. საკერავი იარაღი; 15. სახელმწიფო აფრიკაში; 17. პირველი ხმა მრავალხმიან ნაწარმოებში; 19. სივრცე გემის ფსკერსა და ქვედა გემბანს შორის; 20. ნიადაგის ნგრევა და რეცხვა ღვარებისაგან; 21. ინგლისური სიგრძის საზომი ერთეული; 23. პროფესიონალი მონადირე, რომელიც ქირით მუშაობს სამონადირეო მეურნეობაში; 25. ღმერთების დედა ინდურ რელიგიაში; 27. ციებ-ცხელება; 29. გასანათებელი მოწყობილობა თეატრში; 30. სალონური ნელტემპიანი ცეკვა ქალ-ვაჟისა; 31. ამობურცული გამოსახულება სიბრტყეზე; 32. საყურე, რომელიც დამჭერით მაგრდება ყურზე; 33. ყვავილთა მწკრივი, ყვავილნარი.

ვერტიკალურად: 1. ფრანგი მწერალი; 2. ვალის წინდი; 3. ერთპალატიანი პარლამენტი ფინეთში; 4. ღვინის ვაჭარი ძველ საქართველოში; 6. შეჯიბრების დაწყების მომენტი; 13. დაწნული ზონარი; 14. დიდი ტანის ძუძუმწოვარი მტაცებელი ცხოველი კატისებრთა ოჯახისა; 15. ლითონის დაშლა ქიმიური პროცესების შედეგად; 16. ნაციზმის მიმდევარი; 17. ჭადრაკის ფიგურა; 18. ომის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 22. ნამდვილად არსებული ნივთი; 24. ადამიანის მსგავსი დიდი მაიმუნი; 26. ხმელეთის სმერჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში; 27. მთავარი გმირი მექსიკური ტელესერიალის „უბრალოდ მარია"; 28. ნაგებობის დამაგვირგვინებელ კარნიზზე დაშენებული კედელი.

**თამუნა მაჭავარიანი**

## წინა ნომრის ჯვარედის პასუხები

ჰორიზონტალურად: 2. ჭაბურღილი; 7. წუნდა; 8. ხენჯი; 10. გინეკოლოგია; 12. ლუკა; 13. ღვია; 15. მატერია; 17. კრისტო; 18. მდოგვი; 19. ბოუ; 21. ახმახი; 22. ლანდაუ; 23. ომუ; 25. ზვირთი; 26. თადარი; 27. ალაყაფი; 30. ინდი; 32. თემი; 34. აბიტურიენტი; 27. ჟრუნი; 38. რუშდი; 39. ალიბუხარი.

ვერტიკალურად: 1. პუშტუ; 2. ჭალი; 3. ბაგერა; 4. იადონი; 5. იხვი; 6. მჯიღი; 9. ბოლერო; 10. გამსახურდია; 11. ალმოსავლეთი; 12. ლაკონიზმი; 14. ამირეჯიბი; 15. მორავია; 16. ამანათი; 19. ბიო; 20. ულუ; 24. მაყარი; 28. ლოტოსი; 29. ფრესკა; 31. ნიხრი; 33. მინდი; 35. ბაია; 36. ტორი

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444